პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

*КОМУНИСТИ* — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი № 231 (10007) | ოთხშაბათი, 29 სექტემბერი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

## დღეს ნომერში:

ამხანაგ კ. ვოროშილოვის მისალოცი დეპეშა ამხანაგ მაო ძე-დუნისადმი (1-ლი გვერდი).
პეკინს გაემგზავრა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია (1-ლი გვერდი).
საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სესია, მიძღვნილი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხუთი წლისთავისადმი (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება. — გ. მეფისაშვილი. — როცა სამეურნეო წარმატებებით ტკბებიან... (მე-2 გვერდი).
ი. ქურციკიძე. — გადაჭრით გავაუმჯობესოთ ადგილობრივი საბჭოების მუშაობა (მე-2 გვერდი).
ა. პატარაია. — ვიბრძოლოთ მეცხოველეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის (მე-2 გვერდი).
ნ. ა. ოსტროვსკის დაბადების 50 წლისთავი. — საბჭოთა სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი — (მე-3 გვერდი).
გ. ჭელიძე. — საბჭოთა საგამოფენო პავილიონის მშენებლობა პეკინში (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

## დავძლიოთ ჩამორჩენა მეცხოველეობის სადგომების მშენებლობაში

მეცხოველეობის სწრაფი აღმავლობის ინტერესები მოითხოვს სისტემატურად სრულდებოდეს ამ დარგში დასახული მშენებლობის გეგმები.

ამჟამად საქართველოში გაჩაღებულია მეცხოველეობის სადგომებისა და სხვა სახის ნაგებობათა მშენებლობა. სადაც ამ სამუშაოს ყურადღებით ეპყრობიან, მუდმივი სამშენებლო ბრიგადები შექმნეს და სათანადო კადრები ჰყავთ, იქ უნარიანად იყენებენ ადგილობრივ რესურსებს და კარგ შედეგებსაც აღწევენ. მაგალითად, სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის სტალინის სახელობის და მახარაძის რაიონის ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობებში გამოყოფილია სამშენებლო ბრიგადები, მათში გაერთიანებული არიან საუკეთესო ხუროები, კალატოზები, მჭედლები და სხვა პროფესიის მუშაკები, რომლებიც საუკეთესოდ მუშაობენ მშენებლობის დარგში. სამწუხაროდ, მთელ რიგ რაიონებში სამშენებლო ბრიგადების მუშაობა ფორმალურ ხასიათს ატარებს, ზოგან კი ასეთი ბრიგადები შექმნილი არ არის, რაც უარყოფითად მოქმედებს მშენებლობის ტემპსა და ხარისხზე.

ჩვენს ხელთ არსებული მასალები მოწმობენ, რომ მთელ რიგ რაიონებში ჯერაც არ გაუკეთებიათ საჭირო დასკვნები გასული წლის მწარე გაკვეთილიდან, როცა ზამთარში უხეირო სადგომების, ცუდი კვებისა და მოვლის შედეგად დიდძალი პირუტყვი დაიხოცა და საგრძნობლად იკლო პროდუქტიულობამ. მეცხოველეობის სადგომების მშენებლობა საქართველოში სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს და თუ ახლავე არ იქნა მიღებული სასწრაფო ქმედითი ზომები, მთელ რიგ რაიონებში ეს სამუშაო ჩაშლის საფრთხეშია. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჭიანურდება მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სადგომების აგება, რასაც აშენებენ ისიც უპროექტოდ კეთდება. მეცხოველეობის სადგომების მშენებლობაში მკვეთრად ჩამორჩნენ ადიგენის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ახალციხის, კაჭრეთის, მცხეთის, გეგეჭკორის, თერჯოლის რაიონები და აფხაზეთის ასს რესპუბლიკა.

ვადები გავიდა, ხოლო სასილოსე ნაგებობათა მშენებლობის დავალება არ შეუსრულებიათ ახმეტის, ბოლნისის, კასპის, ამბროლაურის, ტყიბულის, ხაშურის რაიონებს.

ეს იმის შედეგია, რომ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, მტს-ები და კოლმეურნეობები სამშენებლო სამუშაოთა დროულად შესრულების აშკარა შეუფასებლობას იჩენენ. ჯერ კიდევ დანერგილი არ არის მეცხოველეობის ნაგებობათა მთელი წლის განმავლობაში მშენებლობის პრაქტიკა. ყველაფერი არ კეთდება იმისათვის, რომ მოაწყონ ადგილობრივი საშენი მასალების — ხე-ტყის, აგურის, კირის, კრამიტის, ტკეჩისა და სხვ. დამზადება და წარმოება.

ჩამორჩენა იმის შედეგია, რომ ცეკავშირი და საქართველოს სარეწაო საბჭო, რომლებსაც დავალებული აქვთ რაიონებში საშენი მასალების შეზიდვა და კოლმეურნეობებისათვის მიყიდვა, გეგმურ დავალებებს ვერ ასრულებენ.

ჩამორჩენა იმის შედეგიც არის, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, სატყეო მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროები არ უზრუნველყოფენ რაიონებს საშენი მასალებით.

სადგომების მშენებლობათა საჭიროებისათვის ხე-ტყის მასალების დამზადებას და დანიშნულებისამებრ მიწოდებას სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან ტრესტები „საქსოფლტყედამზადება“ და „საქკოოპტყემშენვაჭრობა“.

არის სიგნალები იმის შესახებ, რომ მშენებლობაში ჩამორჩენილი რაიონების მთელი რიგი მანქანა-ტრაქტორთა სადგურები ოპერატიულობასა და ინიციატივას არ იჩენენ იმისათვის, რომ თავიანთი ძალებით ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს საშენი მასალების ტრანსპორტირებაში, ხე-ტყის დახერხვაში და მეცხოველეობის სადგომების მშენებლობის სხვა სამუშაოთა განხორციელებაში, აგრეთვე მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციის მოწყობილობის მონტაჟში, მაშინ როცა მტს-ები პასუხს აგებენ პირუტყვის სულადობის ზრდისა და მისი პროდუქტიულობის ამაღლებისათვის.

ფაქტები მოწმობენ, რომ ყიზლარის საზამთრო საძოვრებზეც სადგომების მშენებლობას აჭიანურებს ყაზბეგის, ახმეტის, ლენინგორისა და სხვა რაიონების ზოგიერთი კოლმეურნეობა.

ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, სატყეო მრეწველობის სამინისტრომ, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ, ცეკავშირმა, საქართველოს სარეწაო საბჭომ ქმედითი ღონისძიებანი უნდა განახორციელონ ჩამორჩენის უახლოეს დღეებში დასაძლევად.

დიდი მნიშვნელობა აქვს მოწინავე სამშენებლო ბრიგადების გამოცდილების შესწავლას, განზოგადებას და საკოლმეურნეო წარმოებაში დანერგვას. ამ მხრივ უინიციატივობას იჩენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კოლმეურნეობებში მშენებლობის მთავარი სამმართველო. იგი მოწოდებულია სერიოზული ყურადღება მიაქციოს მოწინავე სამშენებლო ბრიგადების მუშაობის მეთოდების მასობრივად გავრცელებას და ამასთან გააძლიეროს ხელმძღვანელობა და დახმარება სამშენებლო სამუშაოებისადმი.

სამშენებლო სამუშაოთა უკეთ შესრულებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის სწორ ორგანიზაციას, სამშენებლო სამუშაოთა ნორმების დადგენას, მშენებელთა შრომაში სანარდო-პრემიალური სისტემის ფართოდ გამოყენებას. მშენებელთა შორის მატერიალური წახალისების ღონისძიებათა განხორციელებას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ კოლმეურნეობებში სამშენებლო სამუშაოებზე გამომუშავების სანიმუშო ნორმების, შრომის დამატებითი ანაზღაურების წესების რაიონებში დაგზავნა შეუწყნარებლად ჭიანურდება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა საბრძოლო ამოცანად დაგვისახა პირუტყვის ბაგურ მოვლა-შენახვაზე დაყენებამდე მეცხოველეობის ახალი სადგომების — ბოსლების, სახბორეების, საღორეების, ფარეხების, საფრინველეების და სხვ. მშენებლობის დამთავრება და არსებული სადგომების რემონტის შესრულება.

პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა უნდა მიიღონ ყველა ზომა იმისათვის, რომ მთლიანად შეასრულონ ეს მითითება, უზრუნველყონ პირუტყვი ზამთარში თბილი, სუფთა, ნათელი ბინებით და წესიერი კვებით.

## ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარეს ამხანაგ მაო ძე-დუნს

ქ. პეკინი.

გთხოვთ, ამხანაგო თავმჯდომარევ, მთელი საბჭოთა ხალხის სახელით და პირადად ჩემგან მიიღოთ გულითადი მოლოცვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარედ თქვენს არჩევასთან დაკავშირებით. გისურვებთ თქვენ და მთელ ჩინელ ხალხს შემდგომ წარმატებებს ჩინეთის დიდი სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში.

კ. ვოროშილოვი,
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

## პეკინს გაემგზავრა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეხუთე წლისთავის დღესასწაულთან დაკავშირებით თვითმფრინავებით მოსკოვიდან პეკინს გაემგზავრა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია; დელეგაციის შემადგენლობაში არიან — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი (დელეგაციის ხელმძღვანელი), სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ა. ი. მიქოიანი, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ნ. მ. შვერნიკი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ამხ. გ. თ. ალექსანდროვი, გაზეთ „პრავდის“ მთავარი რედაქტორი ამხ. დ. ტ. შეპილოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ე. ა. ფურცევა, უზბეკეთის სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი ამხ. ი. ს. ნასრიდინოვა, სსრ კავშირის ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ამხ. პ. ფ. იუდინი (იმყოფება პეკინში), საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ამხ. ვ. პ. სტეპანოვი.

# საბჭოთა საქართველოს დღე

★

### საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

## მანქანათმშენებლები პირობას ანაღდებენ

ქუთაისი. (საქ. კორ.). მანქანათმშენებელი ქარხნის საამქროებში მაღალნაყოფიერად იბრძვიან საოქტომბრო დღესასწაულის ღირსეულად აღნიშვნისათვის.

სამჭედლო საამქროს კოლექტივმა, რომელიც პირველი ჩაება საოქტომბრო შეჯიბრებაში, უკვე გაანაღდა სექტემბრის საწარმოო გეგმა. შეუდგნენ რა ოქტომბრის ანგარიშში მუშაობას, იკისრეს 5 დღით ადრე გაანაღდონ მომავალი თვის დავალება და შეუფერხებლად მოამარაგონ მექანიკურ-სააწყობო საამქრო ექსკავატორ „ე-258“-ის დეტალებით. სტახანოვურ ვახტზე დადგნენ მჭედლები გ. გელენიძე და ლ. გვგუჩაძე. ისინი ყოველდღიურ ნორმას ორსამმაგად ანაღდებენ.

ნაკისრ ვალდებულებას პირნათლად ასრულებს საიარაღო საამქროს კოლექტივიც. აქ საუკეთესო მაჩვენებლებს აღწევენ ი. სმოლკინი, ა. ლოვინი, კ. სოროკინი, ზეინკლები პ. ჩერნოვი, ლ. მიზგალსკი და სხვები. ახლა საამქროში თითქმის არ არის ისეთი მუშა, რომელიც დავალებას ვერ ასრულებდეს.

ქუთაისელმა მანქანათმშენებლებმა იკისრეს სექტემბერ-ოქტომბრის დავალებათა ანგარიშში დამატებით გამოუშვან ერთი ექსკავატორი, 9 პროცენტით აამაღლონ შრომის ნაყოფიერება, დაზოგონ 15 ტონა ლითონი და 7 ნოემბრისათვის დაამზადონ ლენტიანი საშახტო გადამტვირთავის საცდელი ნიმუში. მანქანათმშენებლები თავდადებით იბრძვიან ამ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

## ახალი პროდუქცია

სტალინირი. („კომუნისტის“ კორ.). მექანიკური ქარხნის საამქროებსა და ცვლებში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება ოქტომბრის დიადი დღესასწაულის შესახვედრად. მოწინავე მუშები, ბრიგადები ყოველდღიურ დავალებებს ორმაგად და სამმაგად ასრულებენ, მაღალი ხარისხის პროდუქციას იძლევიან.

შეჯიბრების პერიოდში ქარხნის კოლექტივმა ახალი საწარმოო გამარჯვება მოიპოვა — ათვისებულია ნახშირის უთოების დამზადება. ქარხანამ უკვე გამოუშვა პირველი პარტია უთოებისა, რომელმაც მომხმარებელთა მაღალი შეფასება მიიღო. მეოთხე კვარტალიდან დაიწყება ახალი პროდუქციის სერიული გამოშვება.

## „ტყიბულქვანახშირის“ ტრესტმა ცხრა თვის გეგმა შეასრულა

ტყიბული, 27 სექტემბერი. (საქტესი). „ტყიბულქვანახშირის“ ტრესტმა ვადამდე შეასრულა ქვანახშირის ამოღების ცხრა თვის გეგმა. ამოღებულია 15 პროცენტით მეტი ქვანახშირი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. ოქტომბრის ანგარიშში უკვე გამოშვებულია ასობით ტონა ქვანახშირი.

★ ★

## ტრაქტორისტების სოციალისტური შეჯიბრება

### თესვაში დაწინაურებულნი

თელეთელი მექანიზატორები ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში ასურეთელ მექანიზატორებთან და იბრძვიან იმისათვის, რომ საშემოდგომო თესვის გეგმა მოკლე დროში და მაღალხარისხოვნად შეასრულონ. თესვის პირველ დღეებში წარმატება მოიპოვა მეოთხე სატრაქტორო ბრიგადამ (ბრიგადირი გ. კახელაშვილი), რომელმაც ტაბახმელისა და კიკეთის კოლმეურნეობებში უკვე დათესა 280 ჰექტარი, აქედან ჯვარედინად — 100 ჰექტარი.

ამ ბრიგადის ტრაქტორისტმა ვ. ბოსიევმა დათესა 70 ჰექტარი. იგი დღიურ დავალებას 120-130 პროცენტით ასრულებს. ვალდებულება იკისრა 300 ჰექტარი დათესოს და შეჯიბრებაში გამოიწვია ტრაქტორისტი ვ. ვარამაშვილი. მეორე სატრაქტორო ბრიგადამ ვალდებულება იკისრა 400 ჰექტარის ნაცვლად ჯვარედინად დათესოს 550 ჰექტარი.

საუკეთესოდ მუშაობს ტრაქტორისტი ო. ჩაჩანიძე. მისი ვალდებულებაა დათესოს 200 ჰექტარი, აქედან ჯვარედინად — 150 ჰექტარი. ო. ჩაჩანიძე ეჯიბრება ტრაქტორისტ გ. გოლუბოვს.



ქარელის მტს-ის ბრიგადებს შორის მოწინავეა მესამე სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც ხ. სულაშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ საშემოდგომოდ მოხნა 450 ჰექტარი ნაცვლად 335 ჰექტარისა. გეგმით მზრალად უნდა მოეხნა 120 ჰექტარი, ფაქტიურად მოხნა 350 ჰექტარი. ამ ბრიგადამ სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში უკვე დათესა 130 ჰექტარზე მეტი. აქედან ჯვარედინად დათესილია 70 ჰექტარი.



ახალსოფლის მტს-ის კომკავშირელი ტრაქტორისტი ვ. გამხუაშვილი წარმატებით იბრძვის ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის. წლიური გეგმით გათვალისწინებული 470 ჰექტარის ნაცვლად დამუშავებული აქვს 485 ჰექტარზე მეტი, დაზოგილია 400 კილოგრამი საწვავი. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვეული ჰყავს ამავე ბრიგადის ტრაქტორისტი გ. გლურჯიძე.

ფოტო შ. გოქაძისა.

## სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობა

### სიმინდი აღებულია 34.490 ჰექტარზე

სიმინდის აღების გეგმა რესპუბლიკაში შესრულებულია 14,4 პროცენტით.

ხაშურის რაიონში სიმინდის აღების დავალება განაღდებულია 82,4 პროცენტით, ქარელის — 48,5, გორის — 15,6, კასპის — 23,7, დუშეთის — 22,8, თეთრი წყაროს — 42, თიანეთის — 6,2, გურჯაანის — 76,7, კაჭრეთის — 46,1, სიღნაღის — 26,4, წითელწყაროს — 28,3, თელავის — 28,2, ახმეტის — 5,9, ყვარლის — 28,9, ლაგოდეხის — 23,8, თბილისის გარეუბნის — 30,6, მცხეთის — 4,9, მარნეულის — 8,5, ბოლნისის — 30,7, საგარეჯოს — 15,7, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 37,5, ქუთაისის — 26,0, წყალტუბოს — 4,9, სამტრედიის — 10,3, წულუკიძის — 4,4, ვანის — 17,1, ზესტაფონის — 63,4, ჭიათურის — 10,9 პროცენტით.

### თამბაქოს შეტეხა

25 სექტემბრისათვის რესპუბლიკაში სულ შეტეხილი იყო 124.352.679 ზონარ-მეტრი თამბაქო, გეგმის 81,3 პროცენტი.

ლაგოდეხის რაიონში თამბაქოს შეტეხის გეგმა შესრულებულია 84,5 პროცენტით, მარნეულის — 99.8 პროცენტით, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 75,3, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 89,9 პროცენტით.

## სიმინდის მოსავლის აღება კომბაინით

მაღლობზე გაშენებული სოფელი ოკამი თავს დაჰყურებს ხელისგულივით გაშლილ საკოლმეურნეო მინდვრებს.

აი „ტყისპირა მიწები“, რომლებსაც არასდროს არ მოუციათ სიმინდის ისეთი მაღალი მოსავალი, როგორიც წელს, თანაც ამ კულტურის მოვლა კოლმეურნეთათვის ასე გაადვილებული არ ყოფილა.

რით აღწევენ წარმატებებს სოფელ ოკამის (კასპის რაიონი) ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობაში? იმით, რომ ფართოდ იყენებენ მუშაობის პროგრესულ წესებს. წელს ოკამელმა კოლმეურნეებმა 50 ჰექტარზე პირველად დათესეს სიმინდი კვადრატულ-ბუდობრივი წესით. სამჯერ ჩაატარეს ნათესების კულტივაცია. მოსავალი გეგმაზე ერთიორად მეტი მოიყვანეს: 23 ცენტნერის ნაცვლად საშუალოდ ჰექტარზე 45 ცენტნერი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შემდეგ საკოლმეურნეო მინდვრებში გამოჩნდა სამამულო მარკის ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანები. მათგან აღსანიშნავია სიმინდის ასაღები კომბაინი „კუ-2“.

27 სექტემბერს ოკამის კოლმეურნეობაში მოეწყო კომბაინ „კუ-2“-ით სიმინდის მოსავლის საჩვენებელი აღება.

მეტად საინტერესოა ამ შესანიშნავი მანქანის მუშაობა. კომბაინი „კუ-2“, რომელიც „კდ-35“ მარკის ტრაქტორის მეორე გადამცემი ლილვით მუშაობს, ჭრის სიმინდს, ტახს ტაროს და ფუჩეჩისაგან არჩევს მას, ამასთან ღეროსა და ფუჩეჩს კუწავს სასილოსე მასად. ტაროები გროვდება ბუნკერში, რომელიც მანქანის მარცხენა მხარეზეა, ხოლო დაჭრილი სასილოსე მასა ტრანსპორტიორის საშუალებით გადადის მისაბმელ შემგროვებელში.

კომბაინს ემსახურება ორი კაცი: კომბაინერი და მისაბმელ შემგროვებელზე მომუშავე.

ცვლაში კომბაინი 7 ჰექტარზე იღებს მოსავალს და იძლევა 80-90 კაცდღის ეკონომიას.

კომბაინ „კუ-2“-ს მართავს გამოცდილი მექანიზატორი ნიკოლოზ პატენკო.

მოუთმენლად ველოდი, — ამბობს ნ. პატენკო, — სიმინდის ასაღები კომბაინის „კუ-2“-ის ჩვენს მტს-ში მიღებას. აქამდე მის შესახებ ცოტა რამ ვიცოდი და ისიც ჟურნალ-გაზეთებიდან. მანქანის სიყვარულმა შემაძლებინა მოკლე ხანში დავუფლებოდი მის მართვას.

საყურადღებოა დაკუწული ჩალის შენახვის წესიც. თუ ჩალა სასილოსედ არ გვესაჭიროება, იგი შემდეგნაირად უნდა დაიზვინოს: ძირს 30-40 სანტიმეტრზე დაიფინება ნამჯა, რომელზედაც დაიყრება ნახევარი მეტრი სისქის დაკუწული ჩალა, ამის შემდეგ ისევ დაიფინება 20 სანტიმეტრი სისქის ნამჯის ფენა, დაიყრება ნახევარი მეტრი სისქის დაკუწული ჩალა და ასე შემდეგ. ზვინის სიგანე უნდა იყოს 2 მეტრი, სიმაღლე კი 2-2,5 მეტრი. სიგრძე ნებისმიერია.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.



სურათებზე: სიმინდის მოსავლის აღება კომბაინით კასპის რაიონის სოფელ ოკამის კოლმეურნეობის მინდვრებზე. მარჯვნივ კომბაინერი ნ. პატენკო.

ფოტო ნ. ძნელაძისა.

## სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სესია, მიძღვნილი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხუთი წლისთავისადმი

27 სექტემბერს მოსკოვის მეცნიერთა სახლში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სესია, მიძღვნილი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხუთი წლისთავისადმი. მეცნიერთა სახლის დარბაზი მორთულია სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით. სესიაზე, რომელიც მოწვეულია მოძმე ჩინელი ხალხის ცხოვრებაში ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად, შეიკრიბნენ საბჭოთა მეცნიერების გამოჩენილი მოღვაწეები, მოსკოვის საკვლევი ინსტიტუტების ხელმძღვანელები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

დამსწრეთა შორის არიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საქმეთა დროებითი რწმუნებული სსრ კავშირში ვენ ნინი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი ნგუენ ლონგ ბანგი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი ლიმ ხე, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი დაშიინ ადილბიში.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ა. ნ. ნესმეიანოვმა.

მოხსენება გააკეთა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა-კორესპონდენტმა, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორმა ა. ა. გუბერმა. მან ილაპარაკა ჩინეთისა და სსრ კავშირის ხალხთა დიდ მეგობრობაზე, რომლის სათავე შორეულ წარსულშია და უკავშირდება ისეთი მოღვაწეების სახელებს, როგორიც იყვნენ რადიშჩევი, ბელინსკი, ჩერნიშევსკი. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის შემდეგ, თქვა მომხსენებელმა, ამ მეგობრობას ახალი შინაარსი მიეცა: იგი არა მარტო ხალხთა მეგობრობა, არამედ ორი სახალხო სახელმწიფოს ურღვევი კავშირი გახდა. ეს უზრუნველყოფს სსრ კავშირისა და ჩინეთის ყველაზე მჭიდრო ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის განვითარებას და ორივე სახელმწიფოს აყვავების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორმა ვ. ა. მასლენიკოვმა სესიაზე გააკეთა მოხსენება — „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიური წყობილება“.

დღეს სესიის საბოლოო სხდომაა.

(საქტესი).

## 1955 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის კანდიდატები

კიევი. (საქტესი). კიევის ოლქის ბევრმა კოლმეურნეობამ მიაღწია პირუტყვის პროდუქტიულობის მნიშვნელოვან გადიდებას, ვადამდე შეასრულა რძის წველადობის წლიური გეგმა. თორმეტმა მათგანმა ბევრად გადააჭარბა იმ მაჩვენებლებს, რომლებიც იძლევიან 1955 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეობის უფლებას.

შარშანდელთან შედარებით რამდენჯერმე გადიდდა იმ კოლმეურნე ქალთა რიცხვი, რომლებმაც 11 თვეში თვითეულ ძროხას საშუალოდ მოწველეს სამი ათას ლიტრზე მეტი რძე. ყველა მათგანმა მოიპოვა აგრეთვე 1955 წლის გამოფენის მონაწილეობის უფლება.

ოლქში არის ისეთი რაიონები, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს რძის წველადობის წლიური გეგმა.

## ჩაის ძირითადი ფოთლის დამზადება

(საქართველოს ჩაის ტრესტის 26 სექტემბრის ცნობებით)

გეგმის შესრულება პროცენტობით

| რაიონები | წლიურისა | სექტემბრისა თვეში წინა დეკადის ჩათვლით |
|---|---|---|
| ბათუმის | 102,5 | 114,3 |
| ქობულეთის | 95,9 | 77,2 |
| ქედის | 127,5 | 225,0 |
| **სულ აჭარაში** | **97,5** | **83,5** |
| გალის | 92,3 | 61,3 |
| ოჩამჩირის | 93,6 | 62,5 |
| გულრიფშის | 95,7 | 68,7 |
| სოხუმის | 89,2 | 54,5 |
| გუდაუთის | 94,5 | 70,0 |
| **სულ აფხაზეთში** | **93,1** | **62,7** |
| მახარაძის | 91,4 | 61,3 |
| ჩოხატაურის | 87,7 | 49,5 |
| ლანჩხუთის | 92,7 | 65,4 |
| სამტრედიის | 66,7 | 20,0 |
| წულუკიძის | 78,7 | 27,4 |
| ქუთაისის | 74,3 | 18,5 |
| წყალტუბოს | 100,7 | 47,5 |
| ტყიბულის | 73,3 | 17,1 |
| ცხაკაიას | 78,6 | 35,8 |
| აბაშის | 71,2 | 32,0 |
| გეგეჭკორის | 85,9 | 41,5 |
| ზუგდიდის | 90,6 | 60,1 |
| წალენჯიხის | 99,9 | 99,4 |
| ჩხოროწყუს | 91,9 | 56,0 |
| ხობის | 77,9 | 34,5 |
| თერჯოლის | 53,9 | 0,1 |
| ზესტაფონის | 75,3 | — |
| **სულ საქართველოს სს რესპუბლიკაში** | **91,3** | **58,4** |

შენიშვნა: ბათუმის რაიონის ცნობები არასრულია.

პარტიული ცხოვრება

# როცა სამეურნეო წარმატებებით ტკბებიან...

— პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხი გაინტერესებთ? კარგი, კარგი, — ჩაილაპარაკა პარტბიუროს მდივანმა და მაშინვე ტელეფონის ყურმილი აიღო:

— შემაერთეთ საგეგმო განყოფილებასთან.

— ამხანაგო გიორგი! მომიტანეთ 7 თვის შედეგები...

— ჩვენი მაჩვენებლები დაგარწმუნებთ, რომ ქარხანაში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა მოწოდების სიმაღლეზეა, — ღიმილით განაგრძო პარტბიუროს მდივანმა და კმაყოფილი გამომეტყველება მიიღო.

— აბა დეტალურად გააცანით ამხანაგს ჩვენი შვიდი თვის მაჩვენებლები, — შემოსვლისთანავე უთხრა საგეგმო განყოფილების უფროსს, რომელმაც დიდი შეკვრა ქაღალდები შემოიტანა...

— კონსერვების გამოშვების 7 თვის გეგმა შესრულებულია 113,7 პროცენტით, საერთო პროდუქციისა — 130 პროცენტით, უნდა გამოგვეშვა 25 ასორტიმენტის პროდუქცია, გამოვუშვით 27 სახისა, — სულმოუთქმელად, სხაპასხუპით დაიწყო ცნობარიდან ამოკითხვა საგეგმო განყოფილების უფროსმა.

მართლაც მაღალი მაჩვენებლებით ასრულებდა დავალებებს ქუთაისის მიქოიანის სახელობის საკონსერვო ქარხანა. ამ წარმატებებში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის საწარმოს პარტიულ ორგანიზაციას.

მაგრამ ამ საერთო წარმატებების იქით იმალება სერიოზული ნაკლოვანებანი, რომლებიც არ იქნებოდა ქარხნის პარტიული ორგანიზაცია უფრო ბრძოლისუნარიანი და ინიციატივიანი რომ იყოს.

ამ უკანასკნელ ხანს შრომისა და საწარმოო დისციპლინა ქარხანაში მრავალჯერ დაირღვა, შინაგანაწესის დარღვევისათვის სამუშაოდან მოიხსნა ახალგაზრდა მუშა ანა ლოშკინა. შრომისა და საწარმოო დისციპლინის შესუსტების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი საგიტაციო-მასობრივი მუშაობისადმი უყურადღებობაა. ქარხანაში 40 აგიტატორია, მაგრამ მათი საკმაო ნაწილი ფორმალურად, უპასუხისმგებლოდ ასრულებს ამ საპატიო დავალებას. მაგალითად, გ. ჯღმიაშვილს (მთავარი საამქრო), ზ. ხარაბაძეს, ტ. შირიაევას (სამურაბე საამქრო) და სხვებს თვეში ერთხელ თუ ორჯერ გაახსენდებათ თავიანთი მოვალეობა და მაშინაც მხოლოდ გაზეთის ზერელე წაკითხვით კმაყოფილდებიან.

იდეოლოგიური მუშაობა ადამიანთა შეგნებაში წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი საშუალებაა. მაგრამ ამ თემაზე ქარხანაში იშვიათად ეწყობა ლექცია-მოხსენებები, საუბრები.

საწარმოში არც ისე იშვიათია ქურდობის შემთხვევები. გასულ წელს ა. სირაძემ და გ. ძოწენიძემ მოიპარეს 71 კილოგრამი ტომატი, 76 კილოგრამი მანდარინი და სხვ. წელს ქურდობის შემთხვევები არათუ არ შემცირდა, არამედ კიდევაც გადიდდა. 20 აპრილს შ. სირაძემ მოიპარა 8 ქილა კონსერვი, 30 ივლისს ვ. რუსაძემ — 15 კილოგრამი შაქარი.

ქუთაისის საკონსერვო ქარხნის პარტიული ორგანიზაციის ბიურო ტკბება მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით და ვეღარ ამჩნევს საწარმოს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს, არ აჩაღებს სერიოზულ ბრძოლას ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ ხანს ქარხანაში არც გეგმის შესრულების მხრივ არის სახარბიელო მდგომარეობა. ხშირად ირღვევა რიტმულობა. აგვისტოს პირველ ნახევარში ქარხანამ ქვეყანას დააკლო 300 ათასამდე ქილა კონსერვი.

ქარხნის პარტბიურომ (მდივანი გ. მაჩიტიძე) სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს მეკონსერვეთა შორის პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის გაძლიერებას, პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტმა კი მეტი ქმედითი დახმარება გაუწიოს საწარმოს პარტიულ ორგანიზაციას.

**გ. მეფისაშვილი,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

## პარტიული აქტივის კრება პარტიული განათლების საკითხზე

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომმა ამ დღეებში მოიწვია რაიონის პარტიული აქტივის კრება, რომელმაც განიხილა რაიონის პარტიულ ორგანიზაციებში პარტიული განათლების გაუმჯობესების საკითხი.

მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. ი. შევარდნაძემ.

მომხსენებელმა, აგრეთვე კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ილაპარაკეს იმის შესახებ, რომ შარშან პარტიულ სწავლებაში კომუნისტთა ჩაბმის საქმეში სერიოზული ნაკლოვანებები იყო. კერძოდ დარღვეული იყო ნებაყოფლობის პრინციპი. რაიონის მუშა-მოსამსახურეთა შორის მოისუსტებდა ლექციური პროპაგანდა, იგი არ მოიცავდა ყველა საწარმოს, ყველა მშრომელს.

პარტიული განათლების სისტემაში სწავლების ახლებურად მოწყობასთან დაკავშირებით მოკამათეებმა წამოაყენეს მთელი რიგი წინადადებანი პარტიული განათლების, კერძოდ, პარტიული ბიბლიოთეკის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

კრებამ გამოავლინა ნაკლოვანებანი პარტიული განათლების სისტემაში მეცადინეობის დაწყებისათვის მზადების საქმეში და მიიღო სათანადო ღონისძიებანი მათი გამოსწორების მიზნით.

## აბაშის რაიონში

### ახალი შენობები

რაიონის ცენტრში დამთავრდა ახალი პურის საცხობის მშენებლობა. ჩქარი ტემპით შენდება ორი ორსართულიანი შენობა მტს-ის დირექციისა და ეთერ-ზეთის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთათვის.

საექსპლოატაციოდ გადაეცა სახანძრო რაზმის ორსართულიანი დეპო.

### სასილოსე კოშკების მშენებლობა

რაიონის კოლმეურნეობებში წარმატებით მიმდინარეობს სასილოსე კოშკების მშენებლობა. 100-200 ტონა ტევადობის სასილოსე კოშკები აშენდა პირველი მაისის მალენკოვის, ნაესაკოვოს კაგანოვიჩის, სუჯუნის ორჯონიკიძის, სამიქაოს ცხაკაიას სახელობის და სხვა კოლმეურნეობებში.

წელს კიდევ აშენდა 1.200 ტონა ტევადობის სასილოსე კოშკები.

### რაიონულ ბიბლიოთეკაში

რაიონული ბიბლიოთეკის წიგნის ფონდი 23.128 ცალს აღწევს. მიმდინარე წელს ბიბლიოთეკისათვის შეძენილ იქნა 8.000 მანეთის სხვადასხვა სახის ლიტერატურა.

ბიბლიოთეკაში მოწყობილია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის ამსახველი გამოფენა.

### ნახევარ მილიონ მანეთზე მეტი მოგება

მიმდინარე წლის უკანასკნელ 7 თვეში აბაშის რაიონის ცენტრალურმა შემნახველმა სალარომ სახელმწიფო სესხის ობლიგაციებზე მოგების სახით გასცა 625.995 მანეთი.

**ი. თოფურია**

## ყურძნის უხვი მოსავალი

**თელავი.** (საკ. კორ.). ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობის ვენახები გაშენებულია მდინარე ლოპოტის ორივე მხარეს. აქ ნიადაგი ნაყოფიერია, მაგრამ წლების განმავლობაში ყურძნის მოსავლიანობის გეგმას ვერ ასრულებდნენ ვენახების ცუდი მოვლა-პატრონობის გამო.

მეურნეობის კოლექტივმა წელს უკეთ იმუშავა. ნიადაგს ხვნა და თოხნა არ დააკლეს, გასხვლისას თვითეულ ვაზს ინდივიდუალურად მიუდგნენ, მწვანე ოპერაციები დროულად მოაწყეს, ქიმიკატებით მკურნალობა დადგენილ ვადებში ჩაატარეს.

ბეჯითმა შრომამ თავისი შედეგი გამოიღო. ნაფარეულელები ყურძნის უხვ მოსავალს იღებენ. „დიდ ზვრებში" გიორგი სესიაშვილის ბრიგადამ პირველი ოთხი ჰექტარი ვენახი დაკრიფა — საშუალო მოსავალმა ჰექტარზე 139 ცენტნერს გადაამეტა, გეგმა კი 60 ცენტნერს ითვალისწინებს. ქ. ლეგაშვილის ბრიგადაში ჰექტარზე 110 ცენტნერზე მეტი ყურძენი მოკრიფეს.

მესამე აგროუბანში, რომელსაც აგრონომი გ. ჯიქურიშვილი ხელმძღვანელობს, საშუალოდ ჰექტარზე ას ცენტნერზე ნაკლებ ყურძენს არ კრეფენ. ზოგიერთ ნაკვეთში კი ჰექტარზე 150-მდე ცენტნერ ყურძენს იღებენ.

ყურძნის ასეთი მოსავალი ნაფარეულში თითქმის არასოდეს არ ყოფილა.

# ვიბრძოლოთ მეცხოველეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის

## ორი მეზობელი კოლმეურნეობის მაგალითი

სოფელ თამაკონის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობაში მეცხოველეობა წლების მანძილზე ჩამორჩებოდა. სანახევროდაც ძლივს სრულდებოდა საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობისა და მისი პროდუქტიულობის გეგმები. სოფლის მეურნეობის საკითხებზე პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა საფუძველზე მეცხოველეობის განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების შედეგად მოკლე ხანში წარმატება თვალსაჩინო გახდა. კოლმეურნეობამ ვადაზე ადრე მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა პირუტყვის პროდუქტიულობისა და სულადობის წლიური დავალება. კოლმეურნეობის გამგეობამ (თავმჯდომარე მ. ადამია) და პარტორგანიზაციამ (მდივანი ვ. ფარცვანია) პირველ რიგში იზრუნეს მეცხოველეობის ფერმების კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებისათვის. ფერმის მუშაკებად შერჩეულ იქნენ ბეჯითი კოლმეურნეები, რომელთა შორის ბევრია პარტიის წევრი და კომკავშირელი, ხოლო გამგედ დანიშნულია ენერგიული მუშაკი დ. სართანია. დაკისრებულ მოვალეობას კარგად ასრულებენ ზოოტექნიკოსი ვ. გოგია და ახალგაზრდა ვეტფერშალი ნ. წულაია. ამასთან ჯეროვანი ყურადღება მიექცა შრომის დისციპლინისა და შრომის ორგანიზაციის სათანადო დონეზე დაყენებას.

აქაურმა კოლმეურნეებმა კარგად იციან, რომ საზოგადოებრივი პირუტყვის ჯიშიანობის გაუმჯობესება მეცხოველეობის სულადობისა და მისი პროდუქტიულობის ზრდის ერთ-ერთი მთავარი პირობაა. ამ მიზნით შეიძინეს 14 სული ველის წითელი ჯიშის ძროხა. ისინი კარგი მოვლა-პატრონობით საუკეთესო შედეგებს იძლევიან. ფერმა უზრუნველყოფილია აგრეთვე ჯიშიანი ბუღა-მწარმოებლით. პრაქტიკაში მტკიცედ დაინერგა პირუტყვის ბაგური კვება და შემდეგ, ზაფხულში, საბანაკო შენახვაზე გადაყვანა. შემოღებულია ნაკვეთმორიგეობითი, სადღეღამისო ძოვება, რისთვისაც კოლმეურნეობამ დამატებით გამოჰყო 50 ჰექტარზე მეტი ბუნებრივი საძოვარი, მოაწყო მწვანე კონვეიერი. ამან წველადობის სადღეღამისო მატება დიდად გაზარდა.

თუ წინათ დაბალ და მაღალპროდუქტიულ პირუტყვს ერთად კვებავდნენ და ამის გამო არ ხერხდებოდა ჯიშიანი ძროხებისათვის საკვების სრული ულუფის მიცემა, რაც წველადობის შემცირებას იწვევდა, ახლა კოლმეურნეობაში ჯიშიანი ძროხები ცალკე ჰყავთ გამოყოფილი და ინდივიდუალური წესით აძლევენ საკვების საჭირო რაციონს. ფერმაში პირუტყვს დღეღამეში ოთხჯერ არწყულებენ, წველიან სამჯერ, ძოვების შემდეგ მათ შუადღისას და ღამით აბამენ, სადაც ეძლევათ ნოყიერი ბალახი, დაახლოებით 20-25 კილოგრამი თვითეულს.

წველადობა იმითაც გაიზარდა, რომ შემოიღეს ხბოების ხელოვნური გამოკვება, რის შედეგად თვითეული ძროხის რძის გამოსავლიანობა ლაქტაციის პერიოდში 150 კილოგრამით გაიზარდა.

დიდი ყურადღება აქვს დათმობილი მეცხოველეობის სადგომებით უზრუნველყოფას. კოლმეურნეობამ ააგო 85 სული პირუტყვისათვის სტანდარტული ბინა, რომელიც წელს მექანიზებული იქნება. შეძენილია საჭირო მოწყობილობა. ამჟამად ჩქარი ტემპით მიმდინარეობს მისი მონტაჟი. სამუშაოთა ძირითადი ნაწილი დამთავრებულია. არის 88 ტონის ტევადობის სასილოსე კოშკი, დამატებით აგებენ ასეთსავე სასილოსეს, რაც უახლოეს ხანში დამთავრდება. ამ საქმეში კოლმეურნეობას დიდ დახმარებას უწევს სპეციალურად შექმნილი სამშენებლო ბრიგადა, რომელსაც კომუნისტი დ. ნაროუშვილი ხელმძღვანელობს.

კოლმეურნეებს ფერმის მომარაგება საჭირო საკვებით ძირითად ამოცანად მიაჩნიათ. კოლმეურნეობაში საკვები ბაზის შექმნისათვის ბრძოლას სათავეში ჩაუდგა პარტიული ორგანიზაცია. ბეჯითად მუშაობს საკვებმოპოვების რგოლი ი. მეშველაძის ხელმძღვანელობით. მან საკვები ძირხვენები დათესა 3 ჰექტარზე, საიდანაც 600 ცენტნერი ჭარხლისა და გოგრის მიღებას ვარაუდობენ. 8 ჰექტარზე ეთესათ სოიას და სიმინდის ნარევი.

ყოველივე ამან ხელი შეუწყო წველადობის მკვეთრად გადიდებას. თვითეულმა საფურაჟე ძროხამ 15 აგვისტოსათვის მოიწველა საშუალოდ 942 ლიტრი რძე, ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 830-ისა. მეცხოველეთა ვალდებულებაა წლის ბოლომდე დამატებით მიიღონ თვითეულ ძროხაზე საშუალოდ 150-160 ლიტრი რძე. კოლმეურნეობაში შესრულებულია აგრეთვე მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის გეგმა. მთლიანად შენარჩუნებულია ნამატი.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა ს. აროსია, რომელმაც მოსავლელად მიღებული 10 ძროხიდან 10 თვეში საშუალოდ თვითეულზე 990 ლიტრი რძე მიიღო და იკისრა 1 ოქტომბრამდე გეგმის გადამეტებით 2 ათასზე მეტი ლიტრი რძე მოწველოს. წარჩინებულმა მეცხოველემ ერთ-ერთ ჯიშიან ძროხაზე წელს 3.725 ლიტრი რძე მიიღო. წველადობის გადიდებაში სახელი გაითქვეს მწველავებმა ი. პაპავამ, მ. გაბუნიამ, ლ. გალდავამ და სხვებმა.

მოსალოდნელი იყო, რომ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა ორგანიზაციები და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები თამაკონელ კოლმეურნეთა დაძლებითს გამოცდილებას განაზოგა[illegible]

[illegible] არ მოხდა. ამიტომ ბევრ სასოფლო-სამეურნეო არტელში მეცხოველეობა კვლავ მეტად ჩამორჩენილი, თავმინებებული დარგია. განსაკუთრებით არასახარბიელო სურათია წველადობის მხრივ. ამ საქმეში სრული უპასუხისმგებლობა იგრძნობა სოფელ თამაკონის კოლმეურნეობა „მშრომელში", რომელიც ამ სოფლის მოწინავე, დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის უშუალო მოსაზღვრეა. ისინი ნიადაგისა და ჰავის თანაბარ პირობებში არიან, მაგრამ მეცხოველეობის დარგში მათი საქმიანობის შედეგები ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება. კოლმეურნეობა „მშრომელში" წლითიწლობით არ სრულდება მეცხოველეობის სულადობის გეგმა, დაბალია მისი პროდუქტიულობა. თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 15 აგვისტოსათვის მიღებული იყო მხოლოდ 70 ლიტრი რძე. კოლმეურნეობის გამგეობა (თავმჯდომარე ვ. გაბუნია) და პარტორგანიზაცია (მდივანი შ. ჯანაშია) გულდამშვიდებით შესცქერიან ამ სავალალო მდგომარეობას, ზომებს არ იღებენ სერიოზული ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ.

კოლმეურნეობაში საზოგადოებრივი პირუტყვი შეუფერებელ, პრიმიტიულ ბინებში ჰყავთ მოთავსებული, მაგრამ მეცხოველეობის ახალი ნაგებობათა მშენებლობისათვის არ ზრუნავენ, ნაკლებ ინტერესს იჩენენ აგრეთვე ფერმის პირუტყვის ჯიშიანობის გაუმჯობესებისადმი. შარშან ცუდად გამოაზამთრეს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, იყო სიკვდილიანობის ხშირი შემთხვევა, რაც სხვა მიზეზებთან ერთად, გამოწვეული იყო საკვების საჭირო მარაგის უქონლობით. ამ საგულისხმო გაკვეთილიდან კოლმეურნეობის უუნარო ხელმძღვანელებს სათანადო დასკვნა არ გაუკეთებიათ. კოლმეურნეობაში უგულებელყოფილია უხეში და წვნიანი საკვების მნიშვნელობა. საკვების მომარაგების დავალება არ არის შესრულებული. სილოსის ნაგებობა არა აქვთ და მისი მშენებლობაც არ არის გათვალისწინებული. ყოველივე ამან გამოიწვია სერიოზული ჩამორჩენა მეცხოველეობაში.

კოლმეურნეობაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ მიმდინარე წლის მაისში საკითხი განიხილა პარტიის გეგეჭკორის რაიკომის ბიურომ, რომელმაც დასახა ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. მაგრამ ამას სათანადო შედეგი ჯერ არ მოჰყოლია. რაიკომის ბიუროზე საკითხის მარტო განხილვა, დადგენილების გამოტანა როდი წყვეტს მეცხოველეობის განვითარების ბედს. საჭიროა დადგენილების შესრულების შემოწმება, ადამიანებთან სისტემატური მუშაობა, მეტი ოპერატიულობა და კონკრეტულობა კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობაში.

**ა. პატარაია,**
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

# გადაჭრით გავაუმჯობესოთ ადგილობრივი საბჭოების მუშაობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა სოფლის რაიაღმასკომებია სტრუქტურასა და მუშაობაში. გაუქმდა სოფლის მეურნეობის სამმართველოები იმ რაიონებში, სადაც მტს-ი ან მეცხოველეობის სამანქანო სადგურია, და მათი ფუნქციები ამ ორგანიზაციებს მიეკუთვნათ. აღმასკომის აპარატში თავმოყრილი სოფლის მეურნეობის სპეციალისტები სამუშაოდ უშუალოდ წარმოებაში — კოლმეურნეობებში, მტს-ებში და საბჭოთა მეურნეობებში გაიგზავნენ.

გაიზარდა მტს-ების ხელმძღვანელი და მაორგანიზებელი როლი საკოლმეურნეო წარმოებაში, ისინი პარტიის რაიკომებისა და რაიაღმასკომების მძლავრი დასაყრდენები გახდნენ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის საქმეში.

რაც მთავარია, გაძლიერდა რაიაღმასკომების ოპერატიული ხელმძღვანელობა და დახმარება სოფლის მეურნეობისადმი. ბევრმა რაიაღმასკომმა სწორად აუღო ალღო ახალ ვითარებას, ყველა ღონისძიებას ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო გეგმების შესასრულებლად და კარგ წარმატებებსაც აღწევს. გურჯაანის, ყვარლის, ლაგოდეხის, სიღნაღის, წითელწყაროს, თელავის, კასპისა და სხვა რაიონებში წელს ხორბლეულის კარგი მოსავალი მოიყვანეს, ვადაზე ადრე შეასრულეს სახელმწიფო ვალდებულებანი და შრომადღეებზეც მნიშვნელოვანი რაოდენობით ანაწილებენ მარცვლეულს. ბევრი კოლმეურნეობა სიმინდის, მზესუმზირას, ყურძნის, ხილის, ბოსტნეულისა და ბაღჩეულის მაღალ მოსავალს მოელის. არც მეცხოველეობაში აქვთ ურიგოდ საქმე. გაჩაღებულია საშემოდგომო ხვნა-თესვა. ეს მიღწევები მოპოვებულია ადამიანთა თავდადებული შრომის შედეგად, იმ ღონისძიებათა შედეგად, რომლებსაც რაიონის ხელმძღვანელი ორგანოები ახორციელებენ პარტიისა და მთავრობის სადირექტივო მითითებების შესასრულებლად.

სამწუხაროდ, ყველა რაიონში როდია ასეთი მდგომარეობა. ბევრგან კვლავ სერიოზული ნაკლოვანებებია სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში. ამაში გარკვეული ბრალი სწორედ იმ რაიონების ხელმძღვანელ ორგანოებს მიუძღვით, რომლებიც ამჟამად სოფლის მეურნეობის მთელ რიგ წამყვან დარგებში ჩამორჩებიან და არ ასრულებენ ზემდგომი ორგანოების სახელმძღვანელო მითითებებს.

ავიღოთ, მაგალითად, თბილისის გარეუბნის რაიონი. ამ რაიონის ხელმძღვანელი ორგანოებისათვის სერიოზული გაკვეთილი უნდა ყოფილიყო ის, რომ გარეუბანი უკანასკნელ წლებში სანახევროდაც ვერ ასრულებს ხორბლის, მზესუმზირას, კარტოფილის მოსავლიანობისა და ძროხის წველადობის სახელმწიფო გეგმებს, საგრძნობლად ჩამორჩება სიმინდისა და ბოსტნეულის მოსავლიანობის გეგმების შესრულებაშიც.

კოლმეურნეობებში მეტად დაბალია შრომის დისციპლინა. ბევრი კოლმეურნე ვერ იმუშავებს შრომადღეების სავალდებულო მინიმუმს.

გარეუბნის რაიონს სამი მტს-ი ემსახურება, მაგრამ კოლმეურნეობებში ნაკლებად ჩანს მათი ხელმძღვანელი და მაორგანიზებელი როლი.

მსგავსი მდგომარეობაა ზუგდიდის რაიონშიც, სადაც სოფლის მეურნეობის ზოგიერთი ძირითადი დარგი განვითარების ნაცვლად უკან მიდის. ამ რაიონის ეკონომიკაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩაის კულტურას. მართალია, ზოგიერთი სამუშაო ჩაის პლანტაციებში წესიერად არც გასულ წელს შესრულებულა, მაგრამ ჩაის ხარისხოვანი ფოთლის დამზადების გეგმა შარშან მაინც 106,4 პროცენტით შესრულდა. წელს კი ამ მხრივ სრულიად არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. რაიონმა ხელიდან გაუშვა ჩაის კრეფის მთავარი პერიოდი და 1 სექტემბრისათვის წლიური გეგმა მხოლოდ 76,5 პროცენტით შეასრულა.

რაიონში სუსტად განახორციელეს მოსავლიანობის ამაღლების ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებანი, როგორიც არის მინდვრად ნაკელის გაზიდვა, ჰიბრიდული თესლით სიმინდის თესვა, კვადრატულ-ბუდობრივი თესვა და სხვ.

ზუგდიდის მტს-მა ვერ შეასრულა 1954 წლის საგაზაფხულო ხვნის, თესვის, სიმინდის კულტივაციის, ფართობებში სასუქების შეტანის და სხვა სამუშაოთა გეგმები, მტს-ი არ ახორციელებს კომპლექსურ ღონისძიებებს კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის.

რაიონში არადამაკმაყოფილებლად სრულდება საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების გეგმები, მეტად დაბალია ძროხების პროდუქტიულობა. წველადობის წლიური გეგმა შესრულებულია მხოლოდ 37,6 პროცენტით, რაც გამოწვეულია იმით, რომ ფერმები უზრუნველყოფილი არ არიან საკვებით, კეთილმოწყობილი ბინებით, მოუწესრიგებელია აღრიცხვა, არ ხორციელდება ღონისძიებანი ძროხების ბერწიანობის ლიკვიდაციისა და ჯიშობრივი გაუმჯობესებისათვის. წელს ყოველ 100 ძროხასა და უშობელზე მიღებულია 46 ხბო. ფერმებში ძროხების მხოლოდ 25 პროცენტია გაუმჯობესებული ჯიშისა.

ნელი ტემპით მიმდინარეობს გამოზამთრებისათვის მზადება. პირუტყვის ბინების მშენებლობა და რემონტი, აგრეთვე საკვების დაგროვება. 1 სექტემბრისათვის სილოსის დამზადების გეგმა რაიონში შესრულებული იყო 37.5 პროცენტით, თივის დაგროვებისა — 32,9 პროცენტით.

კოლმეურნეობებში მოუწესრიგებელია შრომა, დაბალია დისციპლინა, 1954 წლის პირველ პერიოდში შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი ვერ გამოიმუშავა შრომისუნარიან კოლმეურნეთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა, ზოგიერთ კოლმეურნეს კი სრულებით არ მიუღია მონაწილეობა საკოლმეურნეო შრომაში. აღსანიშნავია ისიც, რომ კოლმეურნეობებში სათანადოდ არ აფასებენ ქალთა შრომას, არ უქმნიან მათ საკოლმეურნეო შრომაში აქტიური მონაწილეობის პირობებს. ეს იმითაც დასტურდება, რომ 14 კოლმეურნეობაში დღემდე მოწყობილი არ არის საბავშვო დაწესებულებანი.

ყველაფერი ეს იმით არის გამოწვეული, რომ თბილისის გარეუბნის და ზუგდიდის რაიაღმასკომებმა, მტს-ებმა, სასოფლო საბჭოებმა, კოლმეურნეობების გამგეობებმა ვერ გარდაქმნეს მუშაობა პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ახალი ამოცანების საფუძველზე. რაიაღმასკომები თავიანთი დაქვემდებარების ორგანიზაციებისადმი საჭირო მომთხოვნელობას არ იჩენენ, უდისციპლინობას, თვითნებობას ითმენენ, სათანადოდ არ ზრუნავენ ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებისათვის, კადრების სწორად შერჩევა-განაწილებისათვის, ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებათა და საკუთარ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. დადგენილებებსა და გადაწყვეტილებებს კი რაიაღმასკომები საკმაოდ იღებენ. მარტო ერთი წლის განმავლობაში (1953 წლის მარტი — 1954 წლის მაისი) გარეუბნის რაიაღმასკომმა სხვადასხვა საკითხზე 1.590 გადაწყვეტილება მიიღო, აქედან 185 გადაწყვეტილების შესრულების შემოწმება იყო გათვალისწინებული. ფაქტიურად მხოლოდ 15 გადაწყვეტილების შესრულება შემოწმდა. ზუგდიდის რაიაღმასკომმა 1953 წელს მხოლოდ 3 გადაწყვეტილების შესრულება შეამოწმა, 1954 წელს კი არც ერთი არ შეუმოწმებია. აღმასკომის გადაწყვეტილებებს ზოგჯერ თვით აღმასკომის წევრები და დაინტერესებულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები არ ასრულებენ. აღმასკომები კი ამას ურიგდებიან.

რაისაბჭოს და მისი აღმასკომის მუშაობაში ძირითადია კოლეგიალობა, კოლექტიური აზრი და ერთსულოვანი მოქმედება, სახელმწიფოებრივი დისციპლინის მტკიცედ დაცვა, დეპუტატებისა და აქტივის დარაზმვა, მათი საშუალებით მშრომელებთან კავშირის განმტკიცება, ფართო მასების მობილიზაცია პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. ამისათვის საჭიროა საქმიანად ვეხმარებოდეთ სასოფლო საბჭოებს და კოლმეურნეობებს. რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები ხშირად უნდა იყვნენ ადგილებზე, ღრმად სწვდებოდნენ საქმეს, ინსტრუქტაჟს უწევდნენ ადგილობრივ მუშაკებს, აძლევდნენ მათ დავალებებს პრაქტიკული მოქმედებისათვის, ეხმარებოდნენ ამ დავალებათა შესრულებაში, კონკრეტულ ღონისძიებებს ახორციელებდნენ შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

საბჭოთა კონსტიტუციის თანახმად დეპუტატები ვალდებული არიან პერიოდულად ჩააბარონ ანგარიშები თავიანთ ამომრჩევლებს, ეს ამავე დროს შესაბამისი საბჭოს ანგარიშიც არის ხალხის წინაშე, ამით ამომრჩევლები კონტროლს უწევენ საბჭოსა და მისი დეპუტატების საქმიანობას, ეხმარებიან საბჭოს მის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაჭრაში.

რაიაღმასკომებიც თავის მხრივ პერიოდულად უნდა აბარებდნენ ანგარიშს რაისაბჭოს სესიებს.

აღმასკომების აპარატის მოქნილი მუშაობა, მათი მაღალი კულტურა, დისციპლინა და წესრიგი, დავალებების ზუსტად შესრულება, მშრომელების თავაზიანი მიღება და მათდამი გულისხმიერება, განცხადებებისა და საჩივრების დროულად განხილვა, მშრომელთა შორის მასობრივ-კულტურული და აღმზრდელობითი ღონისძიებების გატარება, ლექციების მოწყობა, მოწინავეთა გამოცდილების ჩვენება, სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღება, ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობა, დაუცხრომელი ზრუნვა მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებისათვის — ყოველივე ეს და სხვა მრავალი ღონისძიება, რომლებსაც უნდა ახორციელებდნენ ადგილობრივი საბჭოები, განუზომლად ამაღლებს მათს ავტორიტეტს მასებში.

სამწუხაროდ, არც თბილისის გარეუბნისა და არც ზუგდიდის რაიაღმასკომი ამ საკითხებს სათანადო ყურადღებას არ აქცევენ. რაისაბჭოების დეპუტატთა საგრძნობი ნაწილი აქტიურად არ მონაწილეობს რაისაბჭოების მუშაობაში, არ გამოდის სესიებზე. 1953-54 წლებში რვაჯერ გაიმართა ზუგდიდის რაისაბჭოს სესია, 52 დეპუტატიდან 30 დეპუტატი ამ სესიებზე სიტყვით არ გამოსულა. დეპუტატებს არა აქვთ ამომრჩეველთა განაწესები, არც ანგარიშებს აბარებენ მათ.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ რაისაბჭოების მუდმივი კომისიები, მათ შემოკრებილი არა ჰყავთ აქტივი, არ სწავლობენ საკითხებს, წინადადებები არ შეაქვთ სესიებსა და აღმასკომის სხდომებზე განსახილველად. სრულიად უმოქმედოდ არიან სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიები. რაიაღმასკომები ამ საქმეში ჩაურევლობის პოლიტიკას ადგანან: არ ეხმარებიან კომისიებს მუშაობაში. კომისიების ანგარიშები ერთხელაც არ განხილულა რაისაბჭოების სესიებზე. თვით აღმასკომებსაც არ ჩაუბარებიათ ანგარიშები რაისაბჭოებისათვის.

რაიაღმასკომები გეგმით უნდა მუშაობდნენ, ამ გეგმაში უნდა ითვალისწინებდნენ მთავარ ღონისძიებებს და დროზე ასრულებდნენ მათ, მაგრამ დასახელებულ რაიაღმასკომებში ესეც არ არის მოწესრიგებული. ზუგდიდის რაიაღმასკომმა 1954 წლის პირველი ორი კვარტალის სამუშაო გეგმაში 157 საკითხი გაითვალისწინა, აქედან დიდი ნაწილი არ გადაუწყვეტიათ. რაიაღმასკომს არ შეუსრულებია ხელმძღვანელი ორგანოების მითითება სხდომებისა და განსახილველი საკითხების შემცირების შესახებ. ზუგდიდის რაიაღმასკომი თვეში 3-4 სხდომას იწვევს და თვითეულ სხდომაზე საშუალოდ 30-40 საკითხს განიხილავს. 1954 წლის პირველ ნახევარში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მიმოწერა შემცირების ნაცვლად გაიზარდა. მშრომელთა განცხადებებს დიდი დაგვიანებით განიხილავენ და პასუხის გაცემას თვეობით აჭიანურებენ.

მსგავსი ნაკლოვანებანი ახასიათებს ამ რაიონებში შემავალ საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოებსაც.

სასოფლო საბჭოებს დიდ როლს ანიჭებენ ჩვენი პარტია და მთავრობა. შემთხვევითი როდია, რომ მიმდინარე წლის მეორე ნახევრიდან სასოფლო საბჭოების ხელმძღვანელ მუშაკებს თითქმის ერთიორად გაუდიდდათ ხელფასი. დიდია მათი პასუხისმგებლობა სოფლის მეურნეობისათვის. მაგრამ აღნიშნული რაიონების მთელი რიგი სასოფლო საბჭოების მუშაობაში არსებითი გარდატეხა ჯერ კიდევ არ მომხდარა. ზოგიერთ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ ისიც კი არ იცის, თუ რა კეთდება სოფლად, რა გეგმები აქვთ კოლმეურნეობებს და როგორ სრულდება ეს გეგმები. ამიტომ გასაკვირველი როდია, რომ ასეთ საბჭოებში დიდი ჩამორჩენაა სახელმწიფო გეგმების შესრულებაშიც და სხვა უბნებზეც.

რაიაღმასკომები საჭირო პრაქტიკულ დახმარებას არ უწევენ სასოფლო საბჭოებს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებისა და ნაკლოვანებათა გამოსწორების საქმეში. საკმარისია ითქვას, რომ ზუგდიდის რაიონის 12 სასოფლო საბჭოში მთელი ერთი წლის მანძილზე არ მისულა რაიაღმასკომის წარმომადგენელი დახმარების გასაწევად. წელს რაიაღმასკომს სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეებისა და მდივნებისათვის ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის საკითხებზე არც ერთი თათბირი, სემინარი თუ კონსულტაცია არ მოუწყვია. არ ხდება საბჭოების მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარება. ამ საკითხზე ცოტა იწერება ადგილობრივ გაზეთებში. არადამაკმაყოფილებლად არის გაშლილი კრიტიკა და თვითკრიტიკა.

ამას წინათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილა თბილისის გარეუბნისა და ზუგდიდის რაიაღმასკომების ანგარიში. დასახულ იქნა ღონისძიებანი ამ რაიაღმასკომების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. მთელი რიგი საჭირბოროტო საკითხების მოგვარებაში მათ პრაქტიკული დახმარება გაეწიათ. ახლა მთავარია ის, რომ რაიაღმასკომებმა ზუსტად განახორციელონ მინისტრთა საბჭოს დადგენილება.

ის ნაკლოვანებანი, რაც თბილისის გარეუბნისა და ზუგდიდის რაიაღმასკომების მუშაობას ახასიათებს, გამონაკლისი როდია. მსგავსი ნაკლოვანებანი აქვთ მთელ რიგ სხვა რაიაღმასკომებსაც. სწორედ ამიტომ მათაც საჭირო დასკვნები უნდა გააკეთონ გარეუბნისა და ზუგდიდის რაისაბჭოების აღმასკომების მაგალითიდან და თავიანთი მუშაობა ახალი ამოცანების შესაბამისად გარდაქმნან.

ადგილობრივი საბჭოების, ისევე როგორც ყველა სხვა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საქმიანობის წარმატების საწინდარია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა. პარტია, ეყრდნობა რა ხალხის უსაზღვრო ნდობას, საბჭოებში სამუშაოდ გზავნის თავის საუკეთესო კადრებს, ამასთან ამოწმებს საბჭოების მუშაობას, ეხმარება მათ შეცდომებისა და ნაკლოვანებების გამოსწორებაში, საქმის სწორად წარმართვაში.

საბჭოების მთელი საქმიანობა პარტიის სახელმძღვანელო მითითებებით განისაზღვრება. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა საბჭოების მაგივრობა გასწიონ, გააუპიროვნონ ისინი. ასეთ გამოვლინებებს პარტია სასტიკად გმობს.

იქ, სადაც პარტიული ორგანიზაციები სწორად ახორციელებენ ხელმძღვანელობას, საბჭოების მუშაობაც მოწოდების სიმაღლეზე დგას, მაგრამ ყველგან ასე როდია. ზოგიერთ რაიონში პარტიის რაიკომები მეტად უხეშად ერევიან საბჭოების მუშაობაში.

ოსიაურის სასოფლო საბჭო ერთ-ერთ ჩამორჩენილ საბჭოდ ითვლება ხაშურის რაიონში. მისი თავმჯდომარე ა. ხარხელი მუშაობას თავს ვერ ართმევდა. სწორედ ამის გამო 1954 წლის 15 თებერვალს საბჭოს სესიამ იგი გაათავისუფლა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან და მის ნაცვლად აირჩია პარტიის რაიკომის მიერ რეკომენდებული ამხ. ა. გელაშვილი. მუშაობის დაწყება ვერც კი მოასწრო, რომ ა. გელაშვილი იმავე რაიკომის რჩევით თავმჯდომარეობიდან გაათავისუფლეს. რაიკომმა ამჯერად რეკომენდაცია მისცა ავტორიტეტშელახულ ა. ტუსიაშვილს, რომელიც სუსტი მუშაობისათვის განთავისუფლებული იყო ზემო ოსიაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან. სასოფლო საბჭოს სესიამ, ცხადია, ტუსიაშვილი არ აირჩია საბჭოს თავმჯდომარედ. რამდენიმე დღის შემდეგ რაიკომის დავალებით საბჭოს სესია ხელახლა მოიწვიეს და კვლავ ტუსიაშვილი წამოაყენეს საბჭოს თავმჯდომარედ, მაგრამ იგი არც ახლა აირჩიეს. სამჯერ თქვა უარი სესიამ ტუსიაშვილის არჩევაზე. 10 მარტს ისევ მოიწვიეს საბჭოს სესია. ახლა მას რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ნოზაძე დაესწრო. ამხ. ნოზაძე შეეცადა სესიისათვის თავს მოეხვია ტუსიაშვილის კანდიდატურა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ამის შემდეგ რაიკომმა უკეთესად ის ჩათვალა, რომ საბჭოს თავმჯდომარედ კვლავ ხარხელი წამოაყენა. სესია იძულებული გახდა დათანხმებულიყო ამ კანდიდატურაზე. შედეგი კი ის არის, რომ საბჭოს მუშაობა კვლავ ჩამორჩენილია, ხოლო რაიონის ხელმძღვანელობა ამას ურიგდება.

ადგილობრივ საბჭოებს და მათს აღმასკომებს სუსტად ეხმარება პარტიის ზოგიერთი სხვა რაიკომი.

ამოცანა ის არის, რომ ყოველი ღონისძიებით გავაუმჯობესოთ ადგილობრივი საბჭოების მუშაობა, ავამაღლოთ მათი ხელმძღვანელი როლი პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელებაში.

**ი. ქურციკიძე,**
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების უფროსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნ. ა. ოსტროვსკის დაბადების 50 წლისთავი

# საბჭოთა სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი



ნიკოლოზ ალექსის-ძე ოსტროვსკი
(1936 წ.)

## მუდამ ცოცხალი

როდესაც ლიტერატურული გმირი მილიონების გულსა და გონებას იპყრობს, იგი წიგნის ფურცლებიდან ცხოვრების შუაგულში გადადის როგორც ცოცხალი, მოქმედი არსება. ასეთი ბედი ხვდა ნ. ოსტროვსკის პავკა კორჩაგინსაც, რომლის მებრძოლი, ვაჟკაცური სახე მუდამ თვალწინ უდგას ყველა პატიოსან ადამიანს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას.

და ეს ბუნებრივიც არის. მკითხველი ამ ტიპში ხედავს ფოლადისებური ახალგაზრდა თაობის სახეს, კომუნიზმის საქმისათვის ბრძოლის რომანტიკას, ყველა იმ თვისებას, რაც ლენინურ-სტალინური გვარდიის ღირსეულ ჯარისკაცს ამშვენებს.

„ისეთი გმირების სახეები, როგორიც კორჩაგინია, დიდხანს იქნება ჩვენს შთამაგონებელ მაგალითად“, — წერდა სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის კომკავშირელი ხარატი მ. სტეპანოვი, ხოლო დნეპრჰესის მშენებლობის მონაწილე კომკავშირელი დ. ბესპალოვი აღფრთოვანებით აღნიშნავდა: „ოსტროვსკის წიგნის ფურცლებზე ჩვენ ვისწავლეთ მტარვალთა ძლევა“.

პავკა კორჩაგინის გმირული მაგალითისამებრ იბრძოდნენ ჩვენი ახალგაზრდები დიდი სამამულო ომის ფრონტებზე. საბჭოთა მეომრებს, იგი თითქოს იდუმალად ესაუბრებოდა, ამხნევებდა და ენერგიას მატებდა. ფრონტის ერთ-ერთ უბანზე პოლიტხელმა ორლენკომ შენიშნა, რომ მებრძოლი ჩანთაში წიგნს სდებდა. „ეს ჩემი პირადი დროშაა, — ღიმილით განუმარტა მებრძოლმა და ხელით მოეფერა წიგნს, — არასოდეს არ მოვიშორებ!“ მის ყდაზე ოქროსფრად ბრწყინავდა წარწერა: „ნ. ოსტროვსკი. როგორ იწრთობოდა ფოლადი.“

პავკა თან ახლდა სტალინის მეომრებს ყველგან, სადაც ისინი იმარჯვებდნენ, საბრძოლო დიდების ახალ ფურცლებს წერდნენ.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის მუზეუმში ინახება ოსტროვსკის წიგნი, რომელსაც ახლაც აჩნია საბჭოთა კავშირის გმირის კუროპიატნიკოვის სისხლის ლაქები. ეს წიგნი გმირული კატერის ეკიპაჟთან ერთად იგერიებდა 30 ფაშისტური ავიაგამანადგურებლის თავდასხმას.

ზოია კოსმოდემიანსკაიას ძეგლის მარმარილოზე ამოკვეთილია კორჩაგინის მიერ ვალიას საფლავთან წარმოთქმული სიტყვები. სწორედ ეს სიტყვები ჰქონდა ჩაწერილი ზოიას თავის დღიურში. გმირი პარტიზანი ლიზა ჩაიკინა პარტიზანებს აგონებდა „როგორ იწრთობოდა ფოლადის“ საბრძოლო ეპიზოდებს.

პავკა კორჩაგინის სული დაჰყვა ოლეგ კოშევოის. იგი წიგნს „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ ჯერ კიდევ მეექვსე კლასში გაეცნო.

კორჩაგინის სახელი არა მარტო ომის მრისხანე წლებში ამხნევებდა ახალგაზრდობას. გამარჯვების შემდეგ იგი ათასობით თანამოძმესთან ერთად ტანკიდან ტრაქტორზე გადაჯდა, ბრძმედებთან აღიმართა, უნივერსიტეტის აუდიტორიას ესტუმრა. კომუნისტური შრომის მოწინავე ხაზზე დგანან კორჩაგინის სახელობის ბრიგადები, ეკიპაჟები.

მოსკოვისა და ლენინგრადის უდიდეს საწარმოებში მაგალითის მიმცემია „კორჩაგინული ბრიგადები“. ქარხანა „კრასნი ვიბორჟეცში“ კომკავშირელებმა დაადგინეს საუკეთესო ბრიგადას როგორც გარდამავალი დროშა გადასცენ ნ. ოსტროვსკის წიგნი. „კორჩაგინული“ ბრიგადები მუშაობენ კიევის ვაგონშემკეთებელ ქარხანაში, ოსტროვსკის სახელობის ბრიგადები არსებობენ გროზნოს ნავთობის სარეწებში, რიგის ელექტროტექნიკურ ქარხანაში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში.

პავკა კორჩაგინის გავლენა დიდი ხანია გასცდა სამშობლოს ფარგლებს. იგი თანაბრად საყვარელია ყველა ერისა და კონტინენტის ახალგაზრდობისათვის.

პავლე კორჩაგინს იცნობენ კაპიტალის ბნელ სამყაროშიც, იქ, სადაც „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ უბრალო რიგით ადამიანებს ბრძოლის ცეცხლით აღუნთებს გულს, ხოლო მმართველ წრეებს შიშის ზარსა სცემს.

**ვ. ქართველიშვილი.**

## ლიტერატურის გამოფენა

დიდი რუსი მწერლის ნ. ა. ოსტროვსკის დაბადების 50 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს კარლ მარქსის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში გაიხსნა ლიტერატურის გამოფენა.

გამოფენა მოწყობილია ორ სტენდზე და შედგება სამი განყოფილებისაგან. პირველ განყოფილებაში წარმოდგენილია ნ. ა. ოსტროვსკის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მასალები — მწერლის ბავშვობისა და ახალგაზრდობის ფოტოსურათები, აგრეთვე წიგნების „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ და „ქარიშხლით შობილნი“ ძველი და ახალი გამოცემები სხვადასხვა ენაზე.

მეორე განყოფილება მთლიანად დათმობილი აქვს ნ. ა. ოსტროვსკის შემოქმედების შესახებ გამოქვეყნებულ კრიტიკულ წერილებს, სტატიებსა და შრომებს.

მესამე განყოფილებაში მოთავსებულია ოსტროვსკის ნაწარმოებნი ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე.

წიგნსაცავში დაცულია ნ. ა. ოსტროვსკის 200-მდე წიგნი.

## ★ ★ ★

# მწერალი—კომუნისტი

„როცა ცხოვრებამ დამცა და ხარეცელს მიმაჯაჭვა, ყველაფერი შევწირე იმას, რომ დამემტკიცებინა ჩემი აღმზრდელებისათვის — ძველი ბოლშევიკებისათვის, რომ კლასის ახალგაზრდა თაობა ფარხმალს არ ყრის არავითარ პირობებში... წინ მივიწევდი იმიტომ, რომ გარემოსილი ვიყავ პარტიის გულისხმიერი მზრუნველობით“.

ასე თქვა მწერალმა-კომუნისტმა ნიკოლოზ ალექსის-ძე ოსტროვსკიმ, ავტორმა ფართოდ ცნობილი რომანებისა „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ და „ქარიშხლით შობილნი“ მისთვის ხაზეიმო დღეს, როცა პარტიამ მას მკერდზე მიამაგრა მთავრობის უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი.

ოსტროვსკის მთელი გმირული ცხოვრება ამ სიტყვების მკაფიო დადასტურებაა. მას ფარხმალი არასოდეს დაუყრია და იბრძოდა სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე. უკან არ დაუხევია თვით ავადმყოფობასთან — ყველაზე საშინელ მტერთან ბრძოლაში, — და გამარჯვებული დარჩა.

დღეს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი აღნიშნავს ნ. ა. ოსტროვსკის დაბადების 50 წლისთავს. მწერალმა მხოლოდ ოცდათორმეტ წელიწადს იცოცხლა. აქედან ცხრა წელიწადს იგი უძრავად იწვა ხარეცელზე, მძიმე სენით შეპყრობილი, შვიდ წელიწადს არ ჰქონდა მხედველობა. იგი სრული ინვალიდი იყო, მაგრამ მხოლოდ მედიცინის თვალსაზრისით.

„ის, რომ მე ახლა მიჯაჭვული ვარ ხარეცელს, იმას არ ნიშნავს, რომ ავადმყოფი ვარ. ეს სწორი არ არის. ეს სისულელეა! — სწერდა ოსტროვსკი მეგობარს. — ის, რომ ჩემი ფეხები არ მოძრაობენ და ვერაფერს ვერ ვხედავ — სრული გაუგებრობა, იდიოტური, სატანური ხუმრობაა!“.

მატე ზალკამ, უნგრელმა მწერალმა, ცნობილმა გენერალმა ლუკაჩმა, რომელმაც სიცოცხლე შესწირა ესპანელი ხალხის თავისუფლებას, 1934 წელს ოსტროვსკისთან შეხვედრის შემდეგ გამოიტანა შთაბეჭდილება, რომ: „ეს ძალოვანი, — მამაცი ჭაბუკი, მებრძოლია“. ავადმყოფი და უსინათლო ოსტროვსკი ავადმყოფობამაც კი ვერ მოსწყვიტა ცხოვრებას. იგი ცოცხლობდა ხალხის ინტერესებით და ხალხისათვის. სწორედ ავადმყოფობის პერიოდში, მისთვის ყველაზე მძიმე პერიოდში, ოსტროვსკიმ შექმნა უკვდავი ოპტიმისტური ნაწარმოები „როგორ იწრთობოდა ფოლადი“, დახატა პავლე კორჩაგინის სახე, რომელიც განასახიერებდა ჩაგრულთა მისწრაფებას ბრძოლისა და გამარჯვებისადმი.

კაცობრიობის ბედნიერებისათვის ბრძოლა ოსტროვსკის დევიზი იყო. ბავშვობიდანვე, როცა სადგურ შეპეტოვკის ბუფეტში მუშაობდა, მან საკუთარ თავზე განიცადა კაპიტალისტური ექსპლოატაციის მთელი საზიზღრობა, მთელი სიმძიმე. ჯერ კიდევ მაშინ თორმეტი წლის ბიჭს განუმტკიცდა აზრი, „რომ ეს ცხოვრება ნამდვილი ცხოვრება არ არის ადამიანისათვის“.

მომავალი მწერლის შეხედულებათა ჩამოყალიბებას წიგნებმა შეუწყო ხელი. წიგნებში ეძებდა იგი ძლიერი ნებისყოფის ადამიანებს, ისეთ ადამიანებს, რომელთაც ადამიანის ბედნიერებისათვის სიკვდილისაც არ ეშინიათ, და შეუსრულდა თუ არა ოსტროვსკის თოთხმეტი წელი, იგი ჩაება ნამდვილი ცხოვრებისათვის ბრძოლაში.

1918 წელს ქალაქ შეპეტოვკის ბოლშევიკური ორგანიზაცია იატაკქვეშეთში იყო. მაშინ ნიკოლოზ ოსტროვსკი ასრულებდა მეკავშირის მოვალეობას, ინფორმაციას აწვდიდა ორგანიზაციას, თუ რა ხდებოდა ქალაქში, ასრულებდა ცალკეულ დავალებებს, კედლებზე აკრავდა მოწოდებებს მშრომელებისადმი ებრძოლნათ ოკუპანტების წინააღმდეგ.

1919 წლის 20 ივლისს კოლია ოსტროვსკი და მისი მეგობრები პირველნი შევიდნენ კომკავშირში. ოსტროვსკი გაიხსენებდა ხოლმე: „კომკავშირულ ბილეთთან ერთად ჩვენ მივიღეთ თოფი და ორასი ვაზნა. უქნობი დიდებით შეიმოსნენ პირველი კომკავშირელები, პარტიის ერთგული თანაშემწენი“.

როცა შემოდგომაზე წითელმა ნაწილებმა დროებით დატოვეს შეპეტოვკა, ოსტროვსკი ფრონტზე წავიდა. ლეგენდარულ კოტოვსკის ბრიგადაში, პირველი ცხენოსანი არმიის მებრძოლთა რიგებში იგი იარაღით ხელში იბრძოდა მშობლიური ხალხის ბედნიერებისათვის. 1920 წლის აგვისტოში ლვოვთან ბრძოლებში ნიკოლოზ ალექსის-ძე მძიმედ დაიჭრა. გამოჯანსაღების შემდეგ ოსტროვსკი დემობილიზაციით უნდა გაეთავისუფლებინათ. იგი ინვალიდი გახდა.

მაგრამ ავადმყოფობის დრო არ იყო. ჩვენი ქვეყანა მთელ ძალღონეს ძაბავდა ომით დანგრეული მეურნეობის აღსადგენად. როგორც ხალხის ერთგული შვილი, ოსტროვსკი აქტიურად ჩაება სოციალიზმისათვის ბრძოლაში და თან გაიყოლია თავისი ახალგაზრდა მეგობრები.

1921 წელი. კიევი. საწარმო-დაწესებულებათა მუშაობისათვის, სკოლებში მეცადინეობისათვის საჭირო იყო შეშა. პარტიულმა ორგანიზაციამ მოუწოდა კომკავშირელებს გაეყვანათ შეშის მოსაზიდად რკინიგზის შტო. ეს შეშა დამზადებული იყო, მაგრამ, მტრების მავნებლური გეგმით, — იგი ტყის სიღრმეში, რკინიგზიდან შორს იყო. ახალგაზრდა ენთუზიასტებმა, უგზოობის, სიცივისა და კონტრრევოლუციური ბანდების თავდასხმის საფრთხის მიუხედავად, მთელი ენერგიით მოჰკიდეს ხელი პარტიის მიერ დავალებულ საქმეს. მათ შორის იყო ნიკოლოზ ოსტროვსკიც. აქ ის ავად გახდა და უგრძნობ მდგომარეობაში გაგზავნეს შეპეტოვკაში.

1922 წლის ოქტომბერ-ნოემბერი. დაბრუნდა თუ არა კიევში, ოსტროვსკი, მიუხედავად სუსტი ჯანმრთელობისა, კომკავშირელთა ბრიგადასთან ერთად მონაწილეობას იღებს სატივე ხე-ტყის გადარჩენაში წყალდიდობის დროს.

1923 წელი. ოსტროვსკი მუშაობს კომკავშირის ბერეზდოვის რაიკომის მდივნად და საყოველთაო სავალდებულო სამხედრო სწავლების ბატალიონის კომისრად, მონაწილეობას იღებს დივერსანტებთან ბრძოლაში, უკრაინაში ბანდიტიზმის ლიკვიდაციაში.

1924 წლის 9 აგვისტო დაუვიწყარი იყო ოსტროვსკის ცხოვრებაში. აღსრულდა მისი სანუკვარი ოცნება — იგი კომუნისტური პარტიის წევრი გახდა. „როგორ შეიძლება პარტიის გარეთ ცხოვრება ასეთ დიად, უმაგალითო პერიოდში?“, — წერდა იგი.

თავდადებულმა და დაძაბულმა მუშაობამ, ჰრილობამ, გაცივებამ მძიმე გავლენა მოახდინა ნიკოლოზ ალექსის-ძის ჯანმრთელობაზე. 1925 წლიდან ყველაზე მძიმე პერიოდი დადგა მის ცხოვრებაში, პერიოდი, რომელსაც მან „ცხოვრებისათვის, მწყობრში დაბრუნებისათვის ბრძოლა“ უწოდა.

ჯანმრთელობის დაბრუნება შეუძლებელია. ეს ცხადი იყო. საჭირო იყო ეპოვნა გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან.

ნიკოლოზ ოსტროვსკიმ იპოვნა ეს გამოსავალი. იგი შეუდგა თვითგანათლებას, იწყო მზადება ახალი დიდი მუშაობისათვის. წიგნები, წიგნები და წიგნები. მთელი დღეობით სწავლობდა იგი პოლიტიკურ და მხატვრულ ლიტერატურას. „საკუთარ თავზე უდიდესმა მუშაობამ ინტელიგენტი გამხადა“, — ამბობდა ნ. ოსტროვსკი.

მწერლის პირველი ლიტერატურული ნაშრომი მიეძღვნა კოტოვსკის ბრიგადის მეომრებს. ეს ნაშრომი მან ოდესაში გაგზავნა. ამხანაგები აღტაცებით გამოეხმაურნენ და დაუბრუნეს ხელნაწერი. მაგრამ ოსტროვსკის ეს მოთხრობა ფოსტამ დაკარგა. „დაიღუპა რვა თვის შეუპოვარი შრომა“, — გულისტკივილით წერდა იგი.

ამან ვერ ჩაკლა ოსტროვსკის მისწრაფება დარჩენილიყო მწყობრში, სასარგებლო ყოფილიყო სამშობლოსათვის. 1930 წელს მოსკოვში, უკვე მთლიანად უსინათლო იგი იწყებს ახალ შრომას — რომანს „როგორ იწრთობოდა ფოლადი“.

რომანის პირველი ფურცლები ოსტროვსკიმ თვითონ დაწერა. წერდა ღამით, როცა სახლში სიწყნარე ჩამოვარდებოდა, და დაწერილ ფურცლებს იატაკზე ყრიდა. დილით მახლობლები აგროვებდნენ დაწერილს, აწყობდნენ ყდაში, ხოლო საღამოს მუშაობის შემდეგ იწყებდნენ მათ გადაწერას, რომლის დროსაც ძლივს არჩევდნენ ერთმანეთში არეულ სტრიქონებს.

მაგრამ მალე ნიკოლოზ ალექსის-ძემ ველარ შეძლო თავისი აზრების ჩაწერა, ფიზიკური დაძაბულობა მწვავე ტკივილს იწვევდა მკლავებში. იგი კარნახზე გადავიდა.

ბოლოს, წიგნი დაიწერა. იგი გამომცემლობას გაუგზავნეს, მაგრამ იქ არ ჩქარობდნენ. ყოველი დღე მძიმე განცდის დღე იყო ოსტროვსკისათვის. მას აშფოთებდა აზრი, რომ ხელნაწერს არ მიიღებდნენ. და აი მოვიდა დიდი ხნის ნანატრი ცნობა, რომ „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ მიღებულია დასაბეჭდად. უდიდესმა სიხარულმა მოიცვა ოსტროვსკი. იგი ამბობდა, რომ ბედნიერებამ ხელი გაუწოდა მას და ღრმა არქივიდან მოქმედ არმიაში გადავიდა.

1934 წელს ნ. ა. ოსტროვსკი შეუდგა ახალი რომანის „ქარიშხლით შობილნი“ წერას. მას მწერალმა უწოდა „პოლიტიკური“, „ანტიფაშისტური“ და ცდილობდა ეჩვენებინა „ორი სამყაროს, ორი სულიერი ძალის — მუშათა კლასისა და ბურჟუაზიის“ ბრძოლის ვრცელი სურათი. რომანი, სამწუხაროდ, დაუმთავრებელი დარჩა. ოსტროვსკიმ მოასწრო ოთხიდან მხოლოდ ერთი წიგნის დაწერა.

ნიკოლოზ ოსტროვსკის მჩქეფარე, თავდადებული ცხოვრება არის ცხოვრება—გმირობა. მისი შესანიშნავი ნაწარმოებნი ასწავლიან მილიონობით ადამიანს, თუ როგორ უნდა იცხოვრონ და იბრძოლონ დიადი მიზნისათვის.

დიდი სამამულო ომის წლებში მწერლის სახლ-მუზეუმში, რომელიც მოსკოვშია, ათობით, ასობით წერილი მოდიოდა. საბჭოთა არმიის ჯარისკაცები და ოფიცრები წერდნენ, რომ ოსტროვსკის წიგნები გვასწავლის, თუ როგორ უნდა „ვეპყრობ თავი ბრძოლაში“, წერდნენ, რომ რომანი „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ ეხმარება მათ მტერთან ბრძოლაში, რომ იგი გამარჯვების სიმბოლოდ გადაიქცა. ოსტროვსკის უკვდავ სახელთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ახალგაზრდობის მეორე თაობის — ზოია კოსმოდემიანსკაიას, ლიზა ჩაიკინას, საშა ჩეკალინის, იური სმირნოვის, კრასნოდონის გმირების მამაცობა.

დღესაც მილიონობით საბჭოთა ადამიანი წარმოთქვამს ნიკოლოზ ოსტროვსკის სახელს. მისი გმირობა წარმოშობს მისწრაფებას კიდევ უკეთ ვიშრომოთ საყვარელი სამშობლოს ბედნიერებისათვის.

დღეს, როცა მთელი პროგრესული კაცობრიობა ერთიანი ფრონტით გამოდის ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის ბრძოლაში, გვაგონდება მებრძოლი მწერლის გულში ჩამწვდომი სიტყვები სრულიად უკრაინის კომკავშირის IX ყრილობის დელეგატებისადმი: „შრომის მსოფლიო რეკორდები, მსოფლიო მიღწევები, კულტურის უდიდესი ზრდა, ცოდნის წყურვილი — აი რით არის მოცული ჩვენი ქვეყანა, მშვიდობიან მშენებელთა ქვეყანა. მშვიდობის დროშაა აღმართული ჩვენს ქვეყანაში, შესანიშნავი დროშა — იგი მთელი კაცობრიობის იმედია“.

**რ. ოსტროვსკაია.**



მოსკოვი. მწერალ ნ. ა. ოსტროვსკის სახელმწიფო ბინა-მუზეუმი. სურათზე: მემორიალური ოთახი. აქ ცხოვრობდა და მუშაობდა ნ. ა. ოსტროვსკი 1935 წლის დეკემბრიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე.

ფოტო ვ. მასტიუკოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

## ნ. ოსტროვსკის რომანების ქართული თარგმანები

ნ. ოსტროვსკის რომანის „როგორ იწრთობოდა ფოლადის“ ქართულად გამოცემას თავისი ისტორია აქვს. როგორც ცნობილია, რომანის პირველი ნაწილი გამოვიდა მოსკოვში 1932 წლის დამლევს. 1933 წელს დასრულდა რომანის მეორე ნაწილი, ხოლო წიგნად გამოვიდა 1934 წლის სექტემბერს. რომანის პირველმა ნაწილმა იმთავითვე დიდი ყურადღება მიიქცია. ასეთივე იყო მეორე ნაწილის ხვედრი. როგორც პარტიულმა, ისე უპარტიო მილიონიანმა მასებმა ამ წიგნში იგრძნეს თავიანთი გულის ცემა, დაინახეს პასუხი თავიანთ ფსიქოლოგიურ მოთხოვნილებაზე, რომ ლიტერატურაში ენახათ ოქტომბრის გმირი. ასეთი გმირი იყო უბრალო მუშის შვილი და თვითონაც მუშა წითელარმიელი პავკა კორჩაგინი. ცხადია, საქართველო უნდა გამოხმაურებოდა ოსტროვსკის რომანს. მით უმეტეს, რომ ორივე ნაწილი გამოვიდა რუსეთში 1935 წლის ზაფხულში...

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს დაავალა მიეღო ზომები წიგნის გამოცემისათვის, თარგმნა დაევალა მწერალ როდიონ ქორქიას.

სანამ ქართული თარგმანი სტამბას გადაეცემოდა, საჭირო იყო ზოგიერთი საკითხის დადგენა და გადაჭრა. იმ დროის ტექნიკური ტერმინოლოგია მხოლოდ შემოდიოდა ხმარებაში (ტერმინოლოგია დაიბეჭდა 1935 წელს). ზოგი ტერმინი ახლად იქნა შემოღებული. ცენტრალურმა კომიტეტმა გამოჰყო სპეციალური კომისია, რომელმაც დაადგინა თარგმანის ტერმინოლოგია. ამის შემდეგ წიგნი გადაეცა სტამბას. ნ. ოსტროვსკის რომანისადმი ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ 22-ფორმანახევრიანი წიგნი ათ დღეში დაიბეჭდა და გამოვიდა.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ ხელმეორედ გამოსცა 1947 წელს.

ოსტროვსკის მეორე რომანი „ქარიშხლით შობილნი“ თარგმნილია მწერალ პოლიო აბრამიას მიერ და გამოსცა საბლიტგამმა. ორივე წიგნს ქართველი საზოგადოება დიდი აღფრთოვანებით შეხვდა. ნ. ოსტროვსკის ეს ნაწარმოებები ქართველი ახალგაზრდობის საყვარელი წიგნებია.



მოსკოვი. მწერალ ნ. ა. ოსტროვსკის სახელმწიფო ბინა-მუზეუმი. სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): მწერლის მეუღლე რ. პ. ოსტროვსკაია, მწერალი ნ. ვ. ჩერტოვა და მწერლის ძმა დ. ა. ოსტროვსკი მუზეუმის ერთ-ერთ დარბაზში.

ფოტო ვ. მასტიუკოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

## მუზეუმი სოჭში

ზღვის ახლოს მყუდრო და ლამაზ ქუჩას გადმოჰყურებს კოპწია აგარაკი. მისი პატარა ეზო იწყება თეთრი კიბით, რომლისთვისაც კალთა გადაუფარებია უზარმაზარ კვიპაროსს. სახლის წინ ლამაზი წარწერაა: „ნიკოლოზ ოსტროვსკის სახელმწიფო მუზეუმი“. ამ ქუჩაზე განუწყვეტლივ მოდიან ადამიანები, რომ ნახონ გმირი მწერლის, შესანიშნავი საბჭოთა პატრიოტის ნ. ოსტროვსკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ექსპონატები, ნახონ ის ადგილები, სადაც მწერალი ქმნიდა თავის უკვდავი რომანის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ მეორე ნაწილს.

ეს მუზეუმი გაიხსნა მწერლის გარდაცვალების შემდეგ 1937 წლის 15 თებერვალს.

პირველი სტენდი დათმობილი აქვს ექსპონატებს, რომლებიც ასახავენ მწერლის ბავშვობის პერიოდს.

ნ. ოსტროვსკი პატარაობიდანვე იწყებს ფიზიკურ შრომას. მუზეუმში ნახავთ სურათებს, რომლებიც ნათელ წარმოდგენას იძლევიან პატარა კოლიას მძიმე შრომაზე სამზარეულოში, სადაც იგი დღეღამეში 15 საათს მუშაობდა.

მიუხედავად მოუცლელობისა, ნ. ოსტროვსკი პოულობდა დროს წიგნების საკითხავად. მუზეუმში დაცულია კოლიას წიგნები „გარიბალდი“, „სპარტაკი“. ამ წიგნების გმირებმა ჩაუნერგეს მას მისწრაფება დამდგარიყო თავისუფლებისათვის ბრძოლის მოწინავე ხაზზე.

მუზეუმის შემდეგი განყოფილება მიძღვნილია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციისადმი, სამოქალაქო ომისადმი.

სპეციალური განყოფილება მიძღვნილია სამოქალაქო ომში ლენინური კომკავშირის გმირული ბრძოლებისადმი.

მნახველთა დიდ ყურადღებას იმსახურებს მუზეუმის განყოფილება, სადაც გამოფენილია მასალები იმის შესახებ, თუ როგორ იწერებოდა მარად უკვდავი წიგნი „როგორ იწრთობოდა ფოლადი“. იქვე თვალსაჩინო ადგილას ოქროს ასოებით წარწერილია ნ. ოსტროვსკის ცნობილი სიტყვები: „ადამიანისათვის ყველაზე ძვირფასი სიცოცხლეა. სიცოცხლე მას მხოლოდ ერთხელ ეძლევა, და საჭიროა ისე იცხოვრო, რომ მწვავედ არ გტკიოდეს გული უმიზნოდ გატარებული წლებისათვის, რომ არ გწვავდეს სირცხვილი უსინდისო და წვრილმანი წარსულისათვის, რომ სიკვდილის დროს შეგეძლოს თქვა: მთელი ცხოვრება და მთელი ძალღონე შევალიე ქვეყანაზე უმშვენიერესს — კაცობრიობის განთავისუფლებისათვის ბრძოლას“.

წითელი ხის პატარა მაგიდაზე მინის ყუთშია ლენინის ორდენი, რომლითაც ნ. ოსტროვსკი 1935 წლის 1 ოქტომბერს საბჭოთა მთავრობამ დააჯილდოვა. მის გვერდით არის მწერლის წერილი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი. „მთავრობამ დამაჯილდოვა ლენინის ორდენით. ეს უმაღლესი ჯილდოა. მე აღმზარდა პარტიის ერთგულმა თანაშემწემ ლენინურმა კომკავშირმა, და სანამდის ჩემი გული სცემს, მთელი ჩემი ცხოვრება ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ახალი თაობის კომუნისტურ აღზრდას ემსახურება“.

მეტად საინტერესოა მუზეუმის განყოფილება, რომელიც მიძღვნილია თემისადმი „ნ. ოსტროვსკი დიდი სამამულო ომის წლებში“. აქ ფართოდ არის წარმოდგენილი მწერლის შემოქმედებითი გავლენა მებრძოლებზე, მოსწავლეებზე, კომკავშირელებსა და პიონერებზე.

...მთავრდება ექსპონატები და შედიხართ ოთახში, სადაც სიცოცხლის უკანასკნელი წლები გაატარა მწერალმა. აქ ყველაფერი ისეა, როგორც ნ. ოსტროვსკის სიცოცხლეში იყო. პატარა მაგიდაზე დგას საბეჭდი მანქანა. კარადაზე აწყვია ბევრი საჩუქარი, რომლებიც მწერლისთვის გაუგზავნია მრავალ მკითხველს.

შთაბეჭდილებათა წიგნი სავსეა გულშიჩამწვდომი სიტყვებით.

**გ. თათარიშვილი.**

სოჭი, სექტემბერი.

## მწერლის ხსოვნის აღსანიშნავად

დღეს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის კლუბში გაიმართება გამოჩენილი საბჭოთა მწერლის ნ. ა. ოსტროვსკის დაბადების 50 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამო.

საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის ე. ქარელიშვილი. მოხსენებას — „ნ. ა. ოსტროვსკის ცხოვრება და შემოქმედება“ წაიკითხავს სტალინური პრემიის ლაურეატი მწერალი ა. ჭეიშვილი. სიტყვებს და მწერლისადმი მიძღვნილ ლექსებს წაიკითხავენ ს. კლდიაშვილი, ბ. ჟღენტი, დ. შენგელაია, ბ. ჩხეიძე, რ. ქორქია, თ. ჯანგულაშვილი, ნ. გურეშიძე, ნ. კილასონია.

საღამოს მეორე განყოფილებაში გაიმართება დიდი კონცერტი.

საიუბილეო საღამოები გაიმართება აგრეთვე ქალაქებში სოხუმში, ბათუმში, ქუთაისსა და სტალინირში.

ნ. ა. ოსტროვსკის დაბადების 50 წლისთავის აღსანიშნავად საბლიტგამი გამოსაცემად ამზადებს ნ. ა. ოსტროვსკის რომანს „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ (თარგმანი რ. ქორქიასი).

## გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-9 სესია

ნიუ-იორკი, 25 სექტემბერი. (საკდესი). 24 სექტემბერს დღისით გაიმართა გენერალური კომიტეტის სხდომა იმ საკითხთან დაკავშირებით, შეტანონ თუ არა დღის წესრიგში პუნქტი „საერთაშორისო თანამშრომლობა ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საქმეში", რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ წარადგინა.

...ხოს თუ არა დღის წესრიგში პუნქტები დასავლეთ ირიანისა (დასავლეთი ახალი გვინეა) და კუნძულ კვიპროსის შესახებ.

დასავლეთ ირიანის საკითხის (რომელიც ინდონეზიამ წამოაყენა) შეტანის წინააღმდეგ გამოვიდნენ კოლონიური სახელმწიფოების — ჰოლანდიის, საფრანგეთისა და ავსტრალიის წარმომადგენლები. ჰოლანდიის წარმომადგენლის არგუმენტაცია იმით ამოიწურებოდა, რომ მისი მთავრობა თითქოს „ჯეროვან ზრუნვას" იჩენდეს დასავლეთ ირიანის მოსახლეობისათვის, ახორციელებდეს იქ „სამშვიდობო მისიას" და თითქოს ასეთი საკითხის განხილვა გენერალურ ასამბლეაზე ნიშნავდეს „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარევას სხვა სახელმწიფოების საშინაო საქმეებში".

ავსტრალიის წარმომადგენელი ამტკიცებდა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამ საკითხის დასმა თითქოს გამოიწვევს დაძაბულობის გაძლიერებას ამ რაიონში.

თავისი წინადადების დასაცავად ინდონეზიის წარმომადგენელმა სუჯარვომ თქვა, რომ ყველა...

...უშედეგოდ დამთავრდა. სუჯარვომ აღნიშნა: ჰოლანდიის წარმომადგენელი აცხადებს, ჰოლანდია დასავლეთ ირიანაში „სამშვიდობო მისიას" ახორციელებსო. მაგრამ ეს არის მხოლოდ...

...განაცხადა: მიუხედავად იმისა, რომ მისი ქვეყანა იცავს ერთა თვითგამორკვევის უფლებას, ინდოეთის დელეგაცია მხარს ვერ დაუჭერს წინადადებას ამ პუნქტის ასამბლეის დღის წესრიგში შეტანის შესახებ, რამდენადაც ამ შემთხვევაში, განაცხადა მენონმა, საქმე ეხება არა იმას, რომ კვიპროსის მოსახლეობას მიენიჭოს ეროვნული დამოუკიდებლობა, არამედ იმას, რომ ეს კუნძული „ერთი ხელიდან გადავიდეს მეორეში".

30 ხმის უმრავლესობით (11-მა თავი შეიკავა და 19 წინააღმდეგ მისცა ხმა) კვიპროსის საკითხი შეტანილ იქნა ასამბლეის დღის წესრიგში. ამ პუნქტის დღის წესრიგში შეტანის წინააღმდეგ ხმა მისცეს ინგლისის, საფრანგეთის, თურქეთის, ბელგიის, ჰოლანდიის, ავსტრალიისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის დელეგაციებმა. ამერიკის შეერთებული შტატების, ინდოეთის, ირანის, ერაყისა და ლათინური ამერიკის მთელი რიგი ქვეყნების დელეგაციებმა კენჭისყრაში თავი შეიკავეს. ამრიგად, კენჭისყრა იმ საკითხზე, რომ დღის წესრიგში შეეტანათ დასავ...

შემდეგ სხდომაზე გენერალური ასამბლეა განაგრძობს დღის წესრიგის დამტკიცებას, რომელიც წარდგენილია გენერალური კომიტეტის მოხსენებაში.

## სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების სესია

პეკინი, 28 სექტემბერი. (საკდესი). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა პირველი მოწვევის კრების პირველი სესიის მუშაობა დასასრულს უახლოვდება.

სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების გუშინდელ სხდომაზე მოხდა...

...ხელმწიფო საბჭოს პრემიერის პოსტზე კრებამ დაამტკიცა.

ამ ცნობას ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ.

28 სექტემბერს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრება მუშაობას განაგრძობს.

## პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის მეხუთე სესია

ვარშავა, 25 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ვარშავაში მუშაობა დაამთავრა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სეიმის მეხუთე სესიამ. დეპუტატებმა განიხილეს სოფელ ადგილებში ადმინისტრაციული დაყოფის რეფორმისა და სასოფლო რადა ნაროდოვის შექმნის, ამ რეფორმასთან დაკავშირებით პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის ცვლილების, დაბებისა და სადაბო საბჭოების კანონპროექტები, აგრეთვე რადა ნაროდოვის არჩევნების დებულების კანონპროექტი.

კამათის მონაწილე დეპუტატები აღნიშნავდნენ ახალი კანონპროექტების დიდ როლს პოლონური სოფლის შემდგომი ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის, აგრეთვე იმისათვის, რომ სახელმწიფოს მართვაში გლეხობის ფართო მასები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ. დეპუტატები აღნიშნავდნენ, რომ სასოფლო რადა ნაროდოვის (სათემო რადა ნაროდოვის ნაცვლად) შექმნა სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს დაუახლოვებს მოსახლეობას და უზრუნველყოფს...

...კულტურული დონის ამაღლების მნიშვნელოვანი ამოცანების გადაჭრაში.

სესიამ ერთსულოვნად დაამტკიცა ზემოაღნიშნული კანონპროექტები.

## გერმანიის კომპარტიის გამგეობის მოწოდება გერმანელი ხალხისადმი

ბერლინი, 26 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო იუწყება, იმასთან დაკავშირებით, რომ ადენაუერის მთავრობა ამზადებს პროცესს გერმანიის კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ, კომპარტიის გამგეობამ მოწოდებით მიმართა გერმანელ ხალხს.

„კარლსრუეს ფედერალურმა კონსტიტუციურმა სასამართლომ, — ნათქვამია მოწოდებაში, ...

ნად ისახავს გააძლიერონ ტერორი ადენაუერის პოლიტიკისა და მილიტარიზმის ყველა მტრის წინააღმდეგ, გერმანელებს შორის ურთიერთგაგებისა და საერთაშორისო ურთიერთგაგების პოლიტიკის ყველა მომხრის წინააღმდეგ...

დალესმა უბრძანა ადენაუერს აკრძალოს ახლა ფედერალურ რესპუბლიკაში კომუნისტური პარტია ამერიკის შეერთებული შტატების...

...მათ ეშინიათ იმიტომ, რომ მშვიდობის ბანაკის გამარჯვება „ძალის პოლიტიკაზე", მშვიდობა ვიეტნამში, „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების" ჩაფუშვა, მშენებლობის უდიდესი წარმატებები საბჭოთა კავშირში, სახალხო ჩინეთსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ამავე დროს ჩვენი გამარჯვებებია, ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანის გამარჯვებებია. გერმანიის კომუნისტური პარტიის აკრძალვა მიზ...

...ბა! მოითხოვეთ გაილოს საპყრობილეთა კარები, რომ განთავისუფლდეს მშვიდობისათვის დაპატიმრებული ყველა პატრიოტი და მებრძოლი! მოითხოვეთ გაუქმდეს ყველა ბრძანება ურთიერთგაგების, უშიშროებისა და მშვიდობის გერმანული პოლიტიკის დამცველთა დაპატიმრების შესახებ! დაე ბოლო მოეღოს პოლიციურ დევნასა და თვალყურის დევნებას, ძირს ანტიკონსტიტუციური საიდუმლო სამსახურების ქსელი!".

## ოტო გროტევოლის გამოსვლა მოსავლის დღესასწაულზე შვერინში

ბერლინი, 27 სექტემბერი. (საკდესი). მოსავლის დღესასწაულის გამო შვერინში გამართულ კრებაზე სიტყვა წარმოთქვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოტო გროტევოლმა. კრებას დაესწრნენ ადგილობრივი გლეხები, აგრეთვე სტუმრები დასავლეთ გერმანიიდან და პოლონეთიდან.

თავისი სიტყვის დასაწყისში გროტევოლმა ილაპარაკა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელი გლეხობის მიღწევებზე და აღნიშნა 1954 სასოფლო-სამეურნეო წლის ამოცანები. პრემიერ-მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დემოკრატიულმა წყობილებამ ბოლო მოუღო იუნკერთა და მილიტარისტთა ბატონობას და რესპუბლიკის გლეხებისათვის უზრუნველყოფს მომავლის გარანტიას: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გლეხებმა მარტო 1948-1950 წლებში სახელმწიფოსაგან მიიღეს 609 მილიონი მარკა კრედიტი. გლეხობის განკარგულებაშია მდიდარი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

...დიტები, გარდა ამისა, მათ მიეცათ 78 მილიონი მარკა მანქანების საყიდლად. 1953 წელს შემცირებულ იქნა სახელმწიფო ჩაბარებათა ნორმები 4-25 პროცენტით.

შემდეგ გროტევოლმა მოიყვანა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის 1955 წლის საგეგმო მონაცემები, რომლებიც ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვან გადიდებას, აგრეთვე მის შემდგომ მექანიზაციას.

1955 წელს ერთპიროვნული გლეხებისა და საწარმოო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განკარგულებაში გადაცემულ იქნება 700 მილიონი მარკა სახელმწიფო კრედიტები.

ჩვენი აგრარული პოლიტიკის მიზანია, თქვა გროტევოლმა, ქალაქისა და სოფლის მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. ჩვენი აგრარული პოლიტიკა მშვიდობის საქმეს ემსახურება.

გროტევოლმა მოუწოდა გერმანიის მუშებისა და გლეხების ერთიანობისაკენ, რათა ჩაიფუშოს გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების ცდები.

შეეხო რა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის მომავალი 17 ოქტომბრის არჩევნებს, გროტევოლმა თქვა:

...ლიად ევროპის კოლექტიური უშიშროების პაქტის დადებას, ევროპის მშვიდობასა და ჩვენი ხალხის ბედნიერ მომავალს.

## გაიხსნა ლეიბორისტული პარტიის ყოველწლიური კონფერენცია

ლონდონი, 27 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). სკარბოროს თეატრალურ დარბაზ... ლეიბორისტული პარტიის 53-ე ყოველწლიური კონფერენცია.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებს 1.269 დელეგატი, რომლებიც წარმოადგენენ პარტიის 6.395 ათას კოლექტიურ და ინდივიდუალურ წევრს. კონფერენციამ უნდა გა...

...ბის წინააღმდეგ, აზრი გამოთქვეს გერმანიის საკითხზე ოთხი დიდი სახელმწიფოს მოლაპარაკებისა და ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნის სასარგებლოდ.

კონფერენციის დელეგატმა მეხანძრეთა პროფკავშირის თავმჯდომარემ ჯონ ბერნსმა მიტინგისათვის გაგზავნილ წერილში ხაზგასმით აღნიშნა გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ ბრძოლის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა.

მიტინგის შემდეგ გაიმართა დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ლიდსის, იორკის, სკარბოროს, ჰადერსფილდის, პაროგეტის, ჰალიფაქსისა და იორკშირის ქვანახშირის აუზის მაღაროელთა მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის წარმომადგენლებმა.

სკარბორო, 27 სექტემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). ლეიბორისტული პარტიის 53-ე ყოველწლიური კონფერენციის პირველი სხდო...

...ციის მოგზაურობის მოკლე მიმოხილვით.

## ეგვიპტეში გაემგზავრნენ საქართველოს კალათბურთელები

28 სექტემბერს მოსკოვიდან კაიროს გაფრინდა „დინამოს" (თბილისი) ვაჟთა კალათბურთელების გუნდი — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი კალათბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. ქართველი კალათბურთელები მონაწილეობას მიიღებენ ეგვიპტის სპორტსმენებთან ამხანაგურ შეჯიბრებაში. (საკდესი).

რედაქტორის მოადგილე
 რ. ქურციკიძე.

## საბჭოთა საგამოფენო პავილიონის მშენებლობა პეკინში

1953 წლის 15 ოქტომბერს პეკინში დაიწყო საბჭოთა კავშირში ეკონომიური და კულტურული მშენებლობის მიღწევების საბჭოთა საგამოფენო პავილიონის აგება, რომელიც უნდა დამთავრდეს მიმდინარე წლის სექტემბრის დამლევს.

საბჭოთა საგამოფენო პავილიონის მშენებლობა წარმოებს ქალაქ პეკინის დასავლეთ რაიონში. პავილიონი მოთავსებულია ქალაქის...

...სკოლაა, სადაც ჩინელი მუშები და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი სწავლობენ მოწინავე და ძვირფას საბჭოთა გამოცდილებას. პავილიონის მშენებლობის საქმეში ბევრ სხვა საუკეთესო მშენებლებთან ერთად დიდი წვლილი შეიტანეს ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის საინჟინერო-სამშენებლო პოლკის მეომრებმა.

ენერგიული და მუყაითი შრომის შედეგად...

...ბი სსრ კავშირში". მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განყოფილებებში ჩინელი მაყურებელი გაეცნობა საბჭოთა ხალხების მიერ მოპოვებულ ბრწყინვალე წარმატებებს სახალხო მეურნეობის ამ დარგებში. აქ მაყურებელი ნახავს საბჭოთა კავშირში დამზადებულ სხვადასხვა უახლეს მანქანებს, ხოლო კულტურის დარბაზში, კინოთეატრსა და ღია თეატრში — საბჭოთა სოციალისტური ხელოვ...

ბ. ბელიკი.



სურათზე: საბჭოთა კავშირში ეკონომიური და კულტურული მშენებლობის მიღწევების საგამოფენო პავილიონის მაკეტი.

## გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება

ბერლინი, 26 სექტემბერი. (საკდესი). ადნ-ის სააგენტომ გამოაქვეყნა ტექსტი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებისა ცხრა ქვეყნის თათბირთან დაკავშირებით, რომელიც განზრახულია გაიმართოს 28 სექტემბერს ლონდონში. განცხადებაში ნათქვამია:

„28 სექტემბერს ლონდონში უნდა გაიმართოს ცხრა ქვეყნის თათბირი დასავლეთ გერმანიის შეიარაღების საკითხის განსახილველად. ამ თათბირზე განზრახულია გამოვიდეს ფედერა...

...ყიდოს მისი უმნიშვნელოვანესი ეროვნული უფლებანი. მაგრამ გერმანელი პატრიოტები არასოდეს არ დათანხმდებიან, რომ დასავლეთ მაოკუპირებელ სახელმწიფოებს მიეცეთ უფლება — გაურკვეველი ვადით განაგრძონ დასავლეთ გერმანიის ოკუპაცია, უფლება — გადაჭრან გერმანელი ხალხისათვის ეროვნული სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხი — გერმანიის გაერთიანების საკითხი.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ კვლავ შეიტანა კონსტრუქციული...

...ლეთ გერმანიის შეყვანა ამერიკის სამხედრო პაქტში, ეწინააღმდეგება გერმანელი ხალხის ეროვნულ ინტერესებს. მიტომ ადენაუერს არა აქვს რწმუნება და უფლება გერმანელი ხალხის სახელით ლონდონის თათბირზე გააკეთოს განცხადება, რომელიც გერმანიას ან დასავლეთ გერმანიას შეეხება.

დასავლეთ გერმანიის შეიარაღების განხორციელებისათვის ადენაუერს სურს უარი თქვას გერმანელი ხალხის თვითგამორკვევის უფლებაზე და ამერიკის შეერთებულ შტატებს მიჰ...

...პის ყველა ქვეყნის მონაწილეობით, რომლებიც მოისურვებენ თათბირში მონაწილეობას, აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობით, — თათბირისა, რომელიც გერმანიის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით უნდა მომზადდეს ოთხი სახელმწიფოს თათბირზე.

მთელ გერმანიაში პატრიოტები უნდა დაირაზმონ, რათა შექმნან ჩვენი ეროვნული საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის წინაპირობები და, ამით, აღმოფხვრან საფრთხის კერა ევროპაში".

...ლოსი სიმონ ბარბაქაძე იუწყებიან ვლადიმერ ქრისტეფორეს-ძე ფალავანდიშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-IX 5 ს. დაბა საჩხერეში.

მეუღლე ნატა, შვილები მარგარიტა, კოლია, დები ოლია, ტასო, ძმა მიშა კვანტალიანები, ცოლისძმა ნ. ი. ბელოვი იუწყებიან ალექსანდრე ივანეს-ძე კვანტალიანის გარდაცვალებას. პანაშვიდი 29-IX 8 ს. გამოსვენება 30-IX 5 ს. პლეხანოვის პროსპ. № 59.

უე 15806 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.